



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

DECEMBRE

1932—N° 84

დეკემბერი

1932 წ.

№ 84

დავით აღმაშენებლის

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ბ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ დ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—წლის ბოლო.
 ივ. გეგეჭკორი—თავდაუსხმ. პაქტი საფრანგეთს...
 ერთგვარ ლიტერატურის გამო.
 Louis Le Fur—საქარ. და საერთაშორ. უფლება.
 ისტატიკა—ბრძოლის მეთოდები.
 მღვდელი, რომლის მრევლია ევროპა...
 ქართული ენის კათედ. დაარ. ბრიუსელის უნივ-ში

N.—ქართველები საფრანგეთში.
 კავკასია-უკრაინის დღე.
 ჩრდილო კავკასიის მთიელთა შორის.
 მოსკოვის პროვოკაცია ქენევაში.
 წერილი რედაქციის მიმართ.
 წლიური ანგარიში ტუბ. ავად. ქართ. დამხ. კომიტ.
 «დამ. საქართ.» სარჩევი 1932 წლისათვის და სხ.

წ ლ ი ს ბ ო ლ ო

ეს წელი მოულოდნელათ ბოლოვდება: ევროპა იღებს თავს ამერიკის წინამძღვე, უჯანყდება მის ფინანსიურ ჰეგემონიას, და ახალი წელი, უეჭველია, ორ კონტინენტის ამ ღირსშესანიშნავი დავით იქნება გაყენებული. შეიძლება აქედანვე ითქვას, ეს დავა იქონიებს დიდ გავლენას სხვა საჭირობოროტო კითხვებზეც, რომელიც წეს-რიგშია და უცდის საერთაშორისო მოწესრიგებას.

გაიხსენეთ კანცლერ ბრიუნინგის განცხადება 1931 წელს: გერმანიას არ ძალუძს კიდევ იხადოს სარეპარაციო ხარჯებიო. საფრანგეთი, რომელიც ასე აღშფოთდა მაშინ ამ განცხადებით, ეუბნება ამერიკას: მეც არ შემიძლია ვიხადო შენი ვალიო. ეს ეწინააღმდეგება, როგორც შარშან ისე წელს, არსებულ ხელშეკრულებათ. წარმოადგენს ერთგვარ უპირობას, და მას შეებრძოლა სწორეთ ერიო, მაგრამ ცხოვრებამ გადალახა მიღებული ადათი და საფრანგეთის პალატა არ დაერიდა გაეწირა ერიოს კაბინეტი.

კაბინეტის დაცემა უბრალო ეპიზოდია საპარლამენტო ქვეყანაში, მაგრამ ამ შემთხვევაში მას სარჩულად უდევს დიდათ მნიშვნელოვანი გარემოება. გასულ ზაფხულს გერმანიის და ძველ მოკავშირეთა კონფერენციამ ლონჯონში ბოლო მოუღო რეპარაციას იმ იმედით, რომ ამერიკა წაბაძავდა ამ მაგალითს და წაშლიდა მის ვალს ევროპისაგან. ეს მით უფრო მოსალოდნელი სყო, რომ პრეზიდენტმა ჰუვერმა თავისი ცალმხრივი ნებით მოახვია ევროპას ერთი წლის მორატორიუმი და მით ჩაკლა, ასე

ვთქვათ, რეპარაცია და სამხედრო ვალები. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამერიკა გამუდმებით ერეოდა რეპარაციის დავაში, უკარანახებდა ევროპას თავის ნებას ჯერ დოუსის, შემდეგ იონგის გეგმის სახით, და თვით ლონჯონშიც მისი მეთვალყურე კულისებიდან ცდილობდა გერმანიის განთავისუფლებას რეპარაციისაგან, თავისი «გაყინული» კერძო ვალების ასატივტივებლათ. მაგრამ მოახლოვდა 15 დეკემბერი, ვადა ვალის მორიგ ნაწილის გადახდისა, და იანკი იმეორებს ძველ და გაცვეთილ დებულებას: რეპარაცია სხვაა, სამხედრო ვალი კიდევ სხვა და ეს კი უნდა გადაიხადოთო.

ამას მოჰყვა ნოტების გაცვლა-გამოცვლა ინგლის-საფრანგეთ და ამერიკას შორის. თანახმათ ლონჯონში დადებულ ჯენტლმენ აგრიმენტისა ინგლისის და საფრანგეთი პარალელურათ ეუბნებიან ამერიკას: 15 დეკემბერს შემოვიტანთ ჩვენს ხვედრს იმ პირობით, რომ გადასინჯულ იქნას ვალის შეთანხმებანი და შემოტანილი ფული ახალ შეთანხმების ანგარიშში ჩარიცხოსო. ნუ დაივიწყებთ, ლონჯონის შეთანხმებამ მაინც დაადო გერმანიას სამი მილიარდი ოქროს მარკა, რომელიც დანიშნულია ამერიკისთვის. ამერიკა უარით უპასუხებს—ფულს მივიღებ მხოლოდ უპირობოთო. ინგლისს შეაქვს ფული, საფრანგეთი გადადებს შეტანას, მაგრამ ორივენი მოითხოვენ დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დაწყებას დავის მოსაგვარებლათ.

მაგრამ აქ ელოდება წინ ამერიკის კონსტიტუცია.

ნომბრის არჩევნებით პრეზიდენტი ჰუვერი და მისი მთავრობა გადაყენებულია, ხოლო კონსტიტუციის ძალით, ისინი რჩებიან თანამდებობაზედ მომავალი წლის 4 მარტამდე, ახალი კონგრესიც ვერ შეიკრიბება მანამდე. მაშასადამე, ამ გარდამავალ ხანაში ძველი მთავრობა და კონგრესი ვერ იკისრებენ ასეთი დიდი კითხვის გადაჭრას; ხოლო ახალი მთავრობა რუხველტისა და კონგრესი ჯერ არ ჩამდგარან სამსახურში.

ჩვენ ცოტა მეტ ხანს შევჩერდით ვალის კითხვაზედ, რადგან მასზეა გადამბული რეპარაციის კითხვა და ეს უკანასკნელი ხომ ნამდვილ მაჯლანჯულად აწვა ევროპას გულზედ აგერ 13 წელია. თუ ევროპამ ვერ დაიძვრინა თავი ამერიკის ვალისაგან, მაშინ ლოზანის შეთანხმებაც არ შევა ძალაში, მაშასადამე, ისევ რეპარაცია! ეს კი არ უნდა არავის, არა მარტო გერმანიას, თვით საფრანგეთსაც. ინგლისზე, იტალიაზე და სხვებზე მეტიცაა ლაპარაკი.

ეს გარემოება ჰქმნის ახალ სულისკვეთებას, ევროპის სახელმწიფოები, თითქმის ყველანი დავალიანებულნი ამერიკის წინაშე, ენას იღებენ, გრძობენ სოლიდარობას და თავდაცვის აუცილებლობას, საერთო ძალით, დოლარის ბატონობისაგან.

სწორეთ ამ დროს წყდება მეორე დიდი კითხვა ქვეყანაში. უკვე ათი თვეა, რაც განიარაღების კონფერენცია გაიხსნა და, გარდა ზოგად რეზოლიუციებისა, რეალიური შედეგი არავის უნახავს. ამას თან დაერთო გერმანიის კონფერენციიდან გასვლა და შიში, რომ ის განიარაღების მაგიერ შეიარაღებას შეუდგებოდა. გერმანია მოითხოვდა თანასწორობას, საფრანგეთი—უზრუნველყოფას ახალი თავდასხმისაგან. დიდის ვაი-ვაგლახით ხუთი დიდი სახელმწიფო შეთანხმდა იმაში, რომ კონფერენციის დანიშნულებაა თანასწორობა მიენიჭოს როგორც გერმანიას ისე სხვა დამარცხებულ სახელმწიფოთ და იმავე დროს უზრუნველ ჰყოს ყველანი თავდასხმისაგან; აგრეთვე ისინი ერთხელ კიდევ სდებენ პირობას არას გზით არ მიმართონ ძალას ურთიერთ უთანხმოებათა გადასაჭრელათ. ამის შემდეგ გერმანია უბრუნდება კონფერენციას და ისიც შეუდგება მუშაობას ნახალწლევს.

ამ რიგათ, ვერსალის ზავს ამ წელს ორი გვერდი ჩაუმტვრიეს და ისიც შეთანხმებით. გერმანიამ თავი დააღწია რეპარაციას და თანასწორობაც იგდო ხელში თავდაცვის საქმეში. ეს გამარჯვება თანდათან მზადდებოდა ლოკარნოს დღიდან და მისი ჩამტარებელნი იყვნენ გერმანიის დემოკრატიული და სოციალისტური პარტიები, მაგრამ ნაყოფი სხვამ იგდო ხელში.

გასულ გაზაფხულს გერმანია სამოქალაქო ომის აჩრდილის წინ იდგა. კომუნისტები მარცხნივ და პიტლერისტები მარჯვნივ იარაღს ისხამდნენ და მათ ნახევარი გერმანია ზურგს უმაგრებდა, გერმანია უმუშევარი, გაღარიბებული, სასოწარკვეთილი. მოხუცმა პინდენბურგმა დაითხოვა ბრიუნინგის მთავრობა და მოიწვია ფონ პაპენი ეგრ. წოდ. პრეზიდენტის მთავრობის სათავეში, რომელიც დაეყრდნო ჯარს და შეუდგა წესიერების აღდგენას. ფონ პაპენს მოუხდა რაიხსტაგის ორჯერ დათხოვნა და განაგებდა ქვეყანას ამრჩეველთა წინამძღვე. შედეგი უკვე ვიცით: სამოქალაქო ომის აჩრდილი თუ არ გაჰქრა მიიძალა დროებით, რადგან მისი სულის ჩამდგმელი პიტლერის პარტია ძირს დაექანა, დასუსტდა, ხოლო კომუნისტები მარტო ვერას ვახდებიან. ანლათ არჩეული რაიხსტაგი განაგრძობდა ფონ პაპენის მტრობას, მაგრამ თვითონაც ვერ შეადგინა მთავრობა. მაშინ პინდენბურგმა მოიწვია პრეზიდენტის მეორე მთავრობა გენერალ შლაიხერის მეთაურობით, რომელიც ცდილობს კონსტიტუციის დაურღვეველათ და ფონ პაპენის ზოგიერთ მკაცრი დეკრეტების გაუქმებით საერთო ენა გამონახოს რაიხსტაგთან.

ეს ცვლილება გერმანიაში, რომელიც გადატრიალებას უდრის, იწვევს ომის შიშს მეზობლებში და აჩქარებს თავდაუსხმელობის პაქტის დადებას მოსკოვთან. პოლონეთმა და საფრანგეთმა კარგათ იციან მოსკოვის ხელისმწიფრის ფასი, მაგრამ ეს იყო ერთგვარი დიპლომატიური დივერსია გერმანიაზე შთაბეჭდილების მოსახდენათ.

მოსკოვისთვის თითქო ამერიკაშიც ხელსაყრელი პირობები დგება, ამბობენ, მას ახალი პრეზიდენტი რუხველტი იცნობს. საბაბი მანჯურიის კითხვაა, ცხადია, და იაპონიაც ხომ ამისთვის ეარშიყება მოსკოვს. მართალია, ჯერ-ჯერობით მოსკოვის ხარჯზე ხდება ეს, მან დაჰკარგა გავლენა შორეულ აღმოსავლეთში, მზათაა ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის-გზა იაპონიას მიყიდოს მეოთხედ ფასში, და მიკადოს დელეგატიც, თითქო მადლობის ნიშნად, აცხადებს ქვეყანაში, მანჯურიის სახით ჩვენ შევქმენით ბუფერი სახელმწიფო კომუნისტურ პროპაგანდის ასალაგმავათ ჩინეთშიო. ამ განცხადებას მოსკოვმა უპასუხა დიპლომატიური დამოკიდებულების აღდგენით ნანკინის მთავრობასთან,—ეს კი აშკარათ ამერიკის გულის მოსაგებათ.

ასეთია დიპლომატიური თამაში, სადაც მოსკოვს ხან იარაღად, ხან საფრთხობელად იყენებენ და სტალინი კი კმაყოფილია, თუ დაუჯერებთ მის პრესას. რით აიხსნება ეს? იმით, რომ სტალინი ეხლა შეველას გარედან ელის, შინ კი ვულკანზედ ზის, რო-



დის აფეთქდება არ იცის. უკანასკნელი მისი განკარგულება სამუშაო დღის გაცდენის წინამდებ, ან კიდევ კვება-შემოსევა-დაბინავების საქმის ქარხნის დირექტორის თვითნებობაზე მიგდება აშკარა მაჩვენებელია იმის, რომ ესლა მუშებს უცხადებს ომს, გლეხებს ხომ ეომება, და რაზმავს ორთავეს ბოლშევიკურ ტირანიის წინამდებ.

მაგრამ თამაშის ხანამ განვლო, საქირთა სწრაფი და რადიკალური ზომები, რათა ქვეყნიერებამ თავი დააღწიოს საშინელ კრიზისს, რომელიც, აგერ სამი წელიწადია, ღრნის და ძირს უთხრის მეურნეობას, წესწყობილებას, მორალს.

მომავალ 1933 წელს, ჭეშმარიტათ, გადატენის წელიწადი უნდა დაერქვას. რალა უნდა დავშალოთ, არსებული კაპიტალისტური რეჟიმი ვერ ერევა დღიურ წეს-რიგში დასმულ საეკონომიკური მნიშვნელობის პრბლებებს. უკიდურესი ნაციონალიზმი, მეტოქეობა და სპეკულიანტა აღვირწახსნილი პარბაში წინ ეღობება ერთა დაახლოებას, თანამშრომლობას, საკაცობრიო ინტერესების მაღლა დაყენებას ყველას საკეთილდღეოთ.

მეორეს მხრით, არც სხვა, მაგ., სოციალისტური რეჟიმისთვის არის ნიდაგი მომხადებელი. იმ დროს, როცა წონათსწორება დარღვეულია წარმოება-აღებ-მიცემობის ყოველ დარგში, როცა ათეული მილიონები უმუშევრათ დაყილობენ და საშუალო კლასებს გალატაკება ელანდებათ, როცა სახელმწიფოს ავტორიტეტს და პოლიტიკურ დემოკრატიას სახელი უტყდება,—შეუძლებელია სოციალიზმზე ფიქრი.

ამ აუტანელ გამწვავებულ ატმოსფერაში, რალა გასაკვირია, რომ უკიდურესი მიდრეკილებანი ხა-

რობენ. კომუნიზმი და ფაშიზმი—აი ორი ძალა, რომელიც ალტაცებულ გამოძახილს პოულობს იმედგაცრუებულ და სასოწარკვეთილ მასებში. ეს სენი ცოტათ თუ ბევრათ მოდებელია მთელს მსოფლიოში, მაგრამ მისი მთავარი ასპარეზი ისევ ძველი ევროპაა. მან უკვე გახრწნა რუსეთი და ემუქრება ჩინეთს და, თუ დროზე არ უშველა თავს, ევროპაც მისი მსხვერპლი გახდება.

მაშასადამე, განკურნების პროცესი ჯერ ისევ ევროპაში უნდა დაიწყოს, სადაც დიავნოზი უკვე დასმულია და ყველამ იცის, რომ ექიმობაც მხოლოდ აქედან უნდა მოველინოს კაცობრიობას. ევროპის გაბატონებულ კლასებს და მმართველ წრეებს ეძლევათ კიდევ ერთი და შეიძლება უკანასკნელი შემთხვევა სძლიონ თავიანთი ეგოიზმი, მეტოქეობის უინი და ერთა სოლიდარობის ნიდაგხედ ისნან რეჟიმი და მასთან ერთათ თანამედროვე ცივილიზაცია უდიდეს ხიფათისაგან.

სკეპტიციზმი სრულიად კანონიერია და ილიუზიებს არ უნდა მივეცეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს პერსპექტივები დავკარგოთ და უიმედოთ ხელი ჩავიქნიოთ. საქართველოს, საბჭოთა კავშირის ტყვეს, თიქო არა აქვს თავისი პოლიტიკა, აქვს მოსკოვს, მაგრამ ეს ხომ ასე არაა, ქართველი ერი ებრძვის უცხო ბატონობას, აქვს, მაშასადამე, თავისი პოლიტიკა. სწორეთ ამიტომ ის და სხვა ჩაგრული ერები ვალდებული არიან ნათლათ გაერკვენ საერთაშორისო და განსაკუთრებით რუსეთის საშინაო და საგარეო საქმეებში, ფეხ და ფეხ მისდიონ მათ ცვალებადობას და ამის მიხედვით გაიკვლიონ საკუთარი გზა, გზა თავისუფლებისაკენ.

თავდაუსხმელობის პაქტი საზკანგეთს,

კაპალოს ხელშეკრულება გეკანინას

ამა წლის 29 ნოემბერს ჰერიომ საფრანგეთის მთავრობის სახელით მოსკოვთან ეგრეთ წოდებულ—თავაუსხმელობის პაქტს—ხელი მოაწერა. საერთო მშვიდობიანობის თვალსაზრისით ამ პაქტს უფრო დემონსტრაციული ხასიათი აქვს, ვიდრე პრაქტიკული, რეალური; ამ ორ სახელმწიფოთა შორის გეოგრაფიული მდგომარეობა ისეთია, რომ ბევრიც რომ მოისურვონ, ვერც ერთი მხარე ფაქტიურათ აგრესიას (თავდასხმას) მეორეზე ვერ მოახდენს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პაქტის მშობიარება მძიმე და მტკივნეული გამოდგა. წელიწადზე მეტია რაც იგი, ავტორთა მიერ წინასწარ ხელმოწერილი, საგარ. სამინისტროს კანცელარიაში, საიდუმლოებით მოცული, დღის სინათლეზე გამოსასვლელათ შესაფერ დროს უტყდიდა; ამ ხნის განმავლობაში მან გაიარა არა ერთი განსაცდელი; იყო დრამატიული მომენტიც მის ისტორიაში, ვინაიდგან რუმინის ერ-

თი მთავრობაც თან გადაყვა მას; მაგრამ «ქეშმარიტებამ სძლია ბოროტებას», «მშვიდობიანობის ტენდენციამ მილიტარისტულს» და დღეს თუ ხვალ, თუ კიდევ რაიმე მოულოდნელი ვართულება არ შემოიჭრა, ეს პაქტი საფრანგეთის პარლამენტს სარატიფიკაციოთ წარედგინება.

ჩვენ არ გვინდა მივსცეთ ჩვენს თავს ნება ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რამდენათ საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრის უმრავლესობა თანაუგრძობს ამ პაქტს; ჩვენ მხოლოდ ერთი რამ ვიცით, რომ საფრანგეთის ზოგიერთ წრეებში მას დიდი ენტუზიასტები ყავდა. მრავალი არგუმენტი იყო მის დასაცავათ წამოყენებული; მაგრამ სწორედ იმ არგუმენტზე, რომელმაც გადამჭრელი როლი ითამაშა, პრესაში თიქმის არაფერი თქმულა: ფრანგებს იმედი აქვთ, ამ ნაბიჯით არა ნორმალურ სიმბიოზს (დაკავშირებას) ჩაშლიან, რომელიც ეს ერთი ხანია მძიმე ლოდათ

აწევს მთელს ევროპას და საერთაშორისო მშვიდობიანობის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს. ეს გერმანია-რუსეთის სამხედრო თანამშრომლობაა. რომ ამ თანამშრომლობიდან წარმომდგარი საშიშროებასთან ბრძოლა უდიდესი პრობლემა საფრანგეთის პოლიტიკისათვის, ეს, რასაკვირველია, უდავოა. ამიტომ რა გასაკვირია, თუ საფრანგეთის პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწენი ამ საშიშროების მოსაპოვებლად ან მის შესუსტებაზე ზრუნავდნენ.

მხოლოდ საქმე იმაშია, თუ რამდენად ამგვარი პაქტების საშვალებით შესაძლოა დასახულ მიზნის მიხსნა.

ჩვენ, ქართველებმა, მოსკოვთან ხელშეკრულების ფასი კარგათ ვიცით. განა 1920 წელში ჩვენ ჰრ გეჟონდა საბჭოებთან ასეთივე თავდაუსხმელობის პაქტი? მერე რითი გათავდა ეს ექსპერიმენტი მოსკოვთან ხელშეკრულების დადებისა? ვაუგონარი, ცინიკური თავდასხმით საქართველოზე. ეს ავაზაკობა მოხდა მთელი ქვეყნის თვალწინ; სამწუხაროთ ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ აქედან შესაფერი დასკვნები ვისმე სხვას, გარდა თვით ქართველი ხალხისა, გაეკეთებინა. დავანებოთ ამას თავი, ნუ მიუღებთ საკითხს ქართული ფსიქოლოგიით და ქართული მწარე გამოცდილებით. სრულიად იმპიქტიურათ რომ გავსაჯოთ, მსგავსი პაქტების საშუალებით შეუძლებელია გერმანია-საბჭოთა რუსეთის თანამშრომლობის არამც თუ მოხსნა, ოდნავათაც შესუსტება კი.

რაპალოს ხელშეკრულება დიპლომატიური გათამაშება როდი ყოფილა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორი ძალის ინტერესთა სრულ სოლიდარობასთან. გერმანია და საბჭოთა რუსეთი ერთნაირათ დანტერესებულია იმ მდგომარეობის შეცვლაში, რომელიც ვერსალის ზავმა შექმნა. შესაძლოა მოსკოვის პერსპექტივები უფრო შორს მიდიოდეს—იგი ვერსალს უფრო საერთაშორისო სოციალური რევოლუციის მიზნებით ებრძვის, გერმანია კი არსცილდება ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესების საზღვრებს, მაგრამ მისწრაფებთა სხვადასხვაობა სრულებით არ უშლის ხელს, რომ ორთავე ერთად მჭიდრო თანამშრომლობით იბრძოდნენ თანამედროვე პოლიტიკური სტაბილიზაციის მოსასპობათ.

მოკლეთ რომ ვთქვათ, საფრანგეთი იცავს ვერსალის Status quo-ს, გერმანია და მოსკოვი მას ებრძვიან და თუ ეს ასეა, როგორ შეიძლება დიპლომატიური ოინებით გერმანია-რუსეთის, ინტერესთა სოლიდარობით ჩაქვიტიკირებული თანამშრომლობა, საფრანგეთ-მოსკოვის დაახლოვებით შეიცვალს? უნდა სრულიათ ამკარათ ითქვას, რომ ასეთ დაახლოვებას არა აქვს არავითარი ბაზა და ამ გვარი ცდა თავიდანვე დამარცხებულია.

რაპალოს ხელშეკრულების და თავდაუსხმელობის პაქტის თანაარსებობა, ვინც მდგომარეობას კარგათ იცნობს, მისთვის ეს წარმოუდგენელი რამ არის. ჯერ ერთი—პოლიშინელის საიდუმლებია (არავისთვისაა დამალული), რომ ამ პაქტში სამხედრო საიდუმლო მუხლებია საფრანგეთის წინამდებ მიმართული. მიუხედავად ამისა გერმანია სდუმს, როცა პარტნიორი საფრანგეთთან ნეიტრალობის აქტზე

ხელს აწერს. თანამედროვე საერთაშორისო მორალის დასაფასებლათ, ეს ფრიად დამანასიათებელია. მართალი ვითრათ, წასულ საუკუნოებში საიდუმლო დიპლომატიის უმაღლეს განვითარების დროსაც ჩვენ არ ვიცით მსგავსი მაგალითი საერთაშორისო ზნეობის დაცემისა. ეს სხვათა შორის. რუსეთმა კიდევ რომ მოინდომოს, მინც არ შეუძლია გერმანიასთან თანამშრომლობაზე ხელი აიღოს. ვინ არ იცის, რომ მთელი სამხედრო წარმოება რუსეთში გერმანიის ხელით და სახსრით არის მოწყობილი. გარეშე ამისა 7 მილიარდ 800 მილიონის მოსკოვის სავაჭრო ვექსილები გერმანეთს ხელსადა და რომ ამ უკანასკნელს სწორათ ამ თვეში თავსდაუსხმელობის პაქტის შემდეგ უარი ეთქვა მათ გადაწერაზე, მოსკოვი გაკოტრებულათ იქნებოდა გამოცხადებული და რასაკვირველია მას ხელი უნდა აეღო მომავალ კრედიტების ოცნებაზე საფრანგეთში თუ ამერიკაში.

ვიმეორებთ, რომ მარტო ფინანსური დაწოლა საქმარისი იქნებოდა გერმანიის მხრით, რომ ბოლო მოეღო საფრანგეთ-მოსკოვის პოლიტიკურ დაახლოვებისათვის, და თუ ამის მაგიერ გერმანიის ბანკმა ეს ვექსილები გადააწერა, ეს იმითმ რომ გერმანიის მთავრობას, როგორც იტყვიან, გული საგულეს აქვს და თუ დასჭირდა, წითელ არმიის მთავარ შტაბსაც აამუშავებს, რათა თავიდან მოიშოროს რაპალოსათვის არა საიმედო ელემენტები.

ვბედავთ და ვიტყვი, რომ საფრანგეთ-მოსკოვის «დაახლოვებამ» შესაძლოა გერმანიას სარგებლობაც მოუტანოს. სახელდობრ:

1) თუ საბჭოები ამ გზით ახალ კრედიტებს იშვენინან, ნაწილობრივ ამას, რასაკვირველია, ისარგებლებს გერმანია;

2) დაშლა თანდათანობით იმ კოალიციის, რომელიც საფრანგეთის ირგვლივ იყრიდა თავს და

3) თავდაუსხმელობის პაქტს შეუძლია ითამაშოს როლი, როგორც ფრანგები იტყვიან bouffée de gaz narcotique: მოწინამდგევის მიძინება, რომ მაზე უფრო ადვილათ მოანდინონ თავდასხმა. ეს ძველი ნაცადი საშვალეა ეხლაც არ არის ხმარებიდან გამოსული.

ამ მოსაზრებებთან ერთად დავაფასოთ ფაქტები.

საფრანგეთზე უმაღ პოლონეთმა მოაწერა ხელი მოსკოვთან თავდაუსხმელობის პაქტს. მიუხედავად ამისა მოსკოვის არც კი შეუწელებია ის მნიშვნელოვანი სამხედრო გეგმების განხორციელება, რომელსაც იგი აწარმოებს პოლონეთის საზღვრების მთელ სიგრძეზე; პირიქით იგი აძლიერებს ამ მხარეში სტრატეგიულ რკინის გზას, ქმნის სასურსათო და სამხედრო შეიარაღების ბაზას, აკეთებს ახალ ბანკებს, აძლიერებს საზღვარზე მდგომ ჯარის ნაწილებს, სწევს ახალ ხარჯებს ავიაციისათვის.

ასეთია ბოლშევიკური საქმიანობა საერთაშორისო პრაქტიკაში. ორმაგი ბუპალატერიაო, რომ იტყოდნენ, ესეც არ უდგება ამ შემთხვევას. ეს რუსული ხალხური თქმულების არ იყო «ვსემ სესტრამ პო სერგამ»ო, ისე გამოდის: საფრანგეთს თავდაუსხმელობის პაქტი, გერმანიას რაპალოს სამხედრო კავშირი...

გვ. გვიჭკობი.



მ რ თ ვ ვ ა რ ლ ი ბ რ ა ტ უ რ ი ს ბ ა მ რ

სრულებით ბუნებრივია და სავსებით გასაგები, როდესაც რომელსაზე საყურადღებო, საზოგადო მნიშვნელობის მოვლენის გამოპრესის ერთი ნაწილი ან მთელი პრესა განგავს ასტეხს ან, როგორც იტყვიან, კამპანიას იწყებს.

მკითხველს ისიც ექნება შემჩნეული, რომ ასეთ შემთხვევაში კამპანიის დასაწყისშივე, თუ წერილების ტონი ცოტა აწეულია, ზრდილობიანი და მოქალაქეობრივი ფორმა მაინცადამაინც დაცულია და არ ილახება, თუ ზოგი მწერალი კრიტიკისა და პოლემიკის მიღებულ ფორმებს გადალახავს და ლანდვა-გინებისა და ინსინუაციების მორევში შესტოპავს. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კამპანია უკიდურესს გაცხარებას აღწევს, როდესაც გონება ჰკარგავს ვნებათა მიერ აღგზნებულ გრძნობების ბატონობას და ინსტინქტებს უთმობს ადგილს.

ასეთია ბუნებრივი ნორმალური, თუმცა არა სასურველი, საგაზეთო პოლემიკისა და კრიტიკის სვლისა და ზრდის წესი.

ამიტომ ჩვენ ძლიერ გავგავკვირვა შინაარსმა, ტონმა დაკიდე უფრო ფორმამ არა რომელისაზე ერთი წერილისა, არამედ «ახალ ივერიის» ნომბრის მთელის ნომრის ბრან მორეულობამ.

«ახალგაზღობის ორგანოს» მთელი ეს ნომერი, — ყველა მის ფურცლებზე მთავსებული წერილები, — ერთსა და იმავე საგანს შეეხება: სოციალდემოკრატიის კრიტიკას, ქართულ მთავრობისა და მის გარშემო არსებულ წრის დაგმობას.

რა მოხდა, რა ნაბიჯები გადადგეს ან მთავრობამ, ან ეროვნულმა ცენტრმა? რა განსაკუთრებულს ამბავს ან მოვლენას ჰქონდა ადგილი, რომ ასეთი მწყობრი, თავიდანვე უკიდურეს წერტილს მიღწეული და ყოვლად მიუღებელ ფორმით გამოთქმული განგავში გამოიწვიო?

რამდენსაც არ ვეძებთ, ვერაფერი აღმოგვიჩენია ისეთი, რასაც შეეძლოს გაამართლოს «ახალგაზღობის ორგანოს» ასეთი გაათფრება.

მაგრამ არა. მოხდა ერთი ამბავი, მართალია, არა ესლა, დიდი ხანია, ოღონდ ამ ბოლო დროს მიიღო ამ ამბავმა აქტუალური ხასიათი. ეს განლავს საფრანგეთ ბოლშევიკების მოლაპარაკება პაქტის დადების შესახებ.

კაცი იფიქრებდა, იქნება ეს ამბავი იყოს ატეხილი აურზაურის მიზეზიო.

არა, რადგან, — და ამის მტკიცება ხომ ზედმეტი უნდა იყოს, — მთავრობაცა და ცენტრიც გულმოდგინეთ უნდა იცავდნენ ამ საკითხში ისეთ პოზიციას, რომელზედაც, სხვა რომ არა იყოს რა, დამოკიდებულება თვით მათის არსებობის raison d'être-ი.

ამავე დროს იმავე პოზიციას იცავს «ახალგაზღობის ორგანოს» უფროსი მოძმე «საქართველოს გუშაგი» ვინმე გ. გარედანის სახელით. (აქ არ შევეიძლია არ შევნიშნათ ფრჩხილებში, რომ ბ. გარედანის წერილი თავის მიზანშეწონილობით, სიღინჯით და ტონით ობოლ მარგალიტად გამოიყურება დასახე-

ლებულ ორგანოთა დანარჩენ მასალაში და მათ შეწყობილ მუსიკის დამრღვევ, გარედან შემოქრილი, ხმას ჰგავს).

მაშ რა მოხდა? ვიკითხავთ ერთხელ კიდევ. უნდა გულწრფელად ვსთქვათ, არ ვიცით.

დავეხსნათ მიზეზების ძებნას, დავივიწყოთ ერთ წამს ის, როგორც მოგახსენეთ, მიუღებელი ფორმა და ტონი, რომელიც ახლავს ამ წერილებს, და შევეცადოთ ის მაინც გავიგოთ, რამდენად სასარგებლოა ასეთი კამპანია, რამდენად გამოსადეგი სწორედ იმ საგნისათვის, რომლისთვისაც, როგორც თვითონ აცხადებენ, თვითონაც იღვწიან ეს ახალგაზდა და და ხნიერი ურა-მწერლები.

ჩვენი ორგანო არ არის პარტიული. ის ეკუთვნის ეროვნულ ცენტრს, სადაც გაერთიანებული არიან ერთის მიზნით ყველა პარტიები, და ემსახურება ამ გამაერთიანებელ მიზანს. აქედან ცხადია მისი ეროვნულობა და იცავს ცენტრი და მასში შემავალი ეროვნული მთავრობა,

მაშ რა მოიმოქმედა ეროვნულმა მთავრობამ, ცენტრის დასტურით თუ თავის ნებით, ისეთი, რამაც ასე ღრმად ააშფოთა და ააღლევა ახალგაზდა და არა ახალგაზდა მწერლები?

ოღონდ წინაწინვე განვსაღვროთ ის ეპოქა, რომელზედაც გვექნება ლაპარაკი.

ადვილად გასაგებია, რომ ჩვენ არ შევეხებით იმ დროს, როდესაც ჩვენი მთავრობა მთავრობდა ამ სიტყვის სრულის შინაარსით, ე. ი. არ შევეხებით იმ დროს, როდესაც ის მართავდა თავისუფალ ქვეყნის საქმეებს და ცხოვრებას.

კუდად მართავდა? შეიძლება. მაგრამ ამის კრიტიკა იქვე იყო საჭირო, ადგილობრივ, ერთდროულად და პარალელურად მის აქტებთან და საქმიანობასთან.

მისმა კუდმა მართვა-გამგეობამ დალუპა ქვეყანა?

როცა გვედირსება ჩვენის ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა, მაშინ მოითხოვოს, ვინც ასე ფიქრობს, ამ «დამნაშავე მთავრობის» გასამართლება, და თავისუფალი ერი, თუ ათხოვებს ყურს ასეთ ბრალდებას, უთუოდ მოსთხოვს პასუხს იმ წესით და ისეთს სასამართლოში, როგორსაც ინებებს,

ესლა კი, აბა, ვან მოგვცა უფლება მოსამართლის როლი დავისაკუთროთ და განაჩენები ვწეროთ. ეს არ არის გასამართლება, ეს მხოლოდ კრიტიკაა, სთქვან იქნება.

კრიტიკა, როგორც მოგახსენეთ, იქვე, პარალელურად უნდა წარმოებულყო, ხოლო ესლა, თორმეტი წლის თავზე, სრულებით უადგილოა კრიტიკა იმისი, რაც ამ თორმეტისა და თხუთმეტის წლის წინად მოხდა.

ვინ ამბობს, წარსულის დაფასება არასდროს არის უადგილო, როდესაც მას უდგებიან ისტორიის თვალსაზრისით.

ოღონდ ისტორიულს კრიტიკას, ისტორიულ



კვლევას და დაფასებას სულ სხვა ფორმა სჩვევია და ინტორიკოსებს—სულ სხვა სიღინჯე და არც «საქართველოს გუშავისა» და «ახალ ივერიის» პუბლიცისტებს მოაქვთ თავი ინტორიკოსებათ, თუ არ ვცდებით.

მათი ნაწერები «ეს სხვა ისტორიაა», როგორც ამბობს კიპლინგი,

მაშ ღვანებოთ თავი დღეს-დღეობით იმას, რასაც პირდაპირი დამოკიდებულება არ აქვს დღევანდელ საკითხებთან და მიზანთან, მით უმეტეს რომ 1921 წელს დამფუძნებელმა კრებამ არა თუ არ გადააყენა მთავრობა, არამედ მასვე დაავალა იმ საქმის გაძღოლა და იმ მიზნის სამსახური, რომელიც შეცვლილმა მდგომარეობამ საგანდ დაუსახა თავისუფლება ართმეულს ჩვენს ქვეყანას და მასასადამე ყველა მის შვილთ.

აი, ამ ფარგლებში შეიძლება ჰქონდეს ადგილი კრიტიკასაც, ადვოკატებსაც და გულის წყრომასაც, რაღა მოხდა მთავრობის ან ცენტრის საქმიანობაში, მათ მოქმედებაში, ისეთი, რასაც შეეძლოს უკმაყოფილებისა და გაკიცხვის გამოწვევა, პატრიოტულ გრძნობების აღშფოთება?

ამ მთავრობის ფინანსთა მინისტრმა ახალი და მასთან უსამართლო გადასახადი შემოიღო და შეაწერა ემიგრანტულ მოსახლეობას?

ამ იქნება შინაგან საქმეთა მინისტრმა ერის ერთის ნაწილის სასარგებლოდ მეორე შეავიწროვა თავისის ადმინისტრაციული ზომებით?

ან იქნება მთავრობა საერთოდ სოციალისტურ პროგრამას ანორციელებს ემიგრანტულ მიწადმფლობელობაში, წარმოებასა და ვაჭრობაში?

სასაცილოთ არ გყოფნის განა, მკითხველო, ასეთი კითხვები?

სასაცილოა ჭეშმარიტად!

თავის ერთა და მიწა-წყალს მომორებულს საქართველოს მთავრობას მხოლოდ სახელი შერჩა და სახელთან დაკავშირებული ერთად-ერთი მოვალეობა, რომელიც დააკისრა და რომლითაც გამოისტუმრა იგი ევროპაში დამფუძნებელმა კრებამ, სახელდობრ, ძალმომრეობით შემწყდარ დამოუკიდებლობის აღდგენა, რისთვისაც საჭიროა «საქართველოს გუშავის» მეთაურის თანახმად: «ნერვები (ოპ, რა საჭიროა! და რაღად სცილილობთ ვერე დაქინებით, აუშალოთ?) მოთმინება, საერთაშორისო მასშტაბით ქართული საქმის პროპაგანდა, მუშაობა ხელსაყრელ კონიუქტურის შესაქმნელად, მომენტის დარაჯობა და მისი გამოყენებისათვის მაქსიმალური მომზადება».

აი, ის ერთად ერთი მოვალეობა, ერთად ერთი მაგრამ მეტად დიდი საქმე, რომელსაც უნდა სდიოს ქართულმა მთავრობამ და რომლის მოგვარება—ასრულებლობაში ხელს უნდა უწყობდეს ყველა პარტია, პარტიული და უპარტიო. ეს ხელის შეწყობა იმდენად უფრო დიდი ვალია ყოველ ქართველისა, კერძოდ, და ყველა ქართველ პარტიებისა, საზოგადოდ, რომ, ვარგისია თუ უვარგისი, მოგვწონს თუ არა, ერთად ერთი, ხალხისაგან გამოსული და ამიტომ კანონიერი მთავრობა ესაა, სხვას ვერც ჩვენ, ემიგრაცია-

ში მყოფნი, ვერც იქ მოძალეთა ქუსლ ქვეშ მოყოლილი ერი, ვერც ვერავითარი სხვა ძალა ვერ შეგვიქნის.

ნიშნავს ეს იმას, რომ თუ მთავრობა და მისი არსებობის გაოგვანი გამოხატულება—საელჩო, ვერ ასრულებენ ყველაფერს რიგზე, ან უარესი კიდე, თავიანთ მოვალეობას არღვევენ, არავის არ შეეძლოს შეცდომის ან დანაშაულის მითითება?

რა თქმა უნდა, რომ არა.

ამგვარი მითითება და მხილება მხოლოდ უფლება კი არა, მოვალეობაა ყოველ ცალკე პირისა თუ პარტიის.

ოღონდ, და ეს ოღონდ არის მთავარი.

აბა, თუ ამოკითხავთ «ახალ ივერიის» და «საქართველოს გუშავის» ფურცლებზე დამუშავებულ გეგმას იმისას, თუ რას უნდა წარმოადგენდეს დაროგორ უნდა სწარმოებდეს «საერთაშორისო მასშტაბით ქართულ საქმის პროპაგანდა», აბა, თუ წაგიკითხავთ, როგორ უნდა იყოს აწყობილი «მუშაობა ხელსაყრელ კონიუქტურის შესაქმნელად»?

ან თუ შეხვედრიხართ სადმე ისეთ ნაწერს, რომელშიაც მოყოლილი ყოფილყოფს მთავრობის რამე ნაბიჯი და ამ ნაბიჯის წყნარი და დამჯდარი შეფასება, მისი მოწონება დაწუნება, რამე რჩევის მოცემა?

ამაო და დაკარგული დრო იქნება ამისთანების ძებნა ამ ორგანოთა ლიტერატურაში.

სამაგიეროდ შეხვედებით დაცივნას, განიარაღების კონფერენციაზე განიარაღებულებს რა გვინდოდაო? რა გვენაღლება, რომ პაქტის შესახებ პირველი მოლაპარაკება იქ, ქენევაში მოხდა, განიარაღების კონფერენციის კულისებში. დაცივნა ხომ ისეთი ადვილი საქმეა.

სამაგიეროდ ლანძღვა-გინება და ისეთი ტონი და ფორმა და ამასთან ისეთი გაბედული, რომელსაც არც იკადრებს და ვერც გაბედავს ვერც ერთი არსებულ სახელმწიფოს მოქალაქე.

არა გვგონია, არსებობდეს ქვეყნიერობაზე ისეთი მთავრობის თავმჯდომარე, რომლისთვისაც იმდენის და ისეთის უდიერის სიტყვით მიემართოს ვისმეს, რაც წილად ხვდა ბ. ნ. ჟორდანისას.

საუბედუროდ და სამწუხაროდ ვინც ამას სჩადის, არ დაფიქრებია, სჩანს, ერთს რამეს: რა უნდა იფიქრონ, რა წარმოდგენა უნდა იქონიონ იმ უცხოელმა მთავრობებმა, მართველებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და წრეებმა ქართული საქმის შესახებ, რომელთაც მიმართავს ბ-ნი ნ. ჟორდანია ან მისი ელჩი. რა ნდობა და, მით უმეტეს, რა დახმარება უნდა გაუწიონ ისეთს მთავრობას, რომელსაც თავისიანებიც ტალახში ათრევენ.

გაუგებარი რჩება ჩვენთვის მხოლოდ ერთი. როგორ შევარვიოთ «საქართველოს გუშავის» მეთაურისა და «ახალგაზნდების ორგანოს» მწერლების ბ. ჟორდანისას წინააღმდეგ ამხედრება ბ-ნ ვარედანის:

«ჩვენ დარწმუნებულე ვართ, რომ საფრანგეთის ხალხი და მთავრობა არ გასწირავენ ქართველ ხალხის სუვერენობის იმ ემბლემას. რომელსაც ცამეტი წელიწადი თავი აქვს შეფარებული მის სამფეროვან დროშის ქვეშ და რომელსაც ქართველი ერი შეპ-



ყოფნის როგორც თავის იმედის ჩაუქრობელ ვარსკვლავს».

საელჩოს შენახვა ხომ მთავრობის შენახვას ნიშნავს, რადგან ისეთი საელჩო, რომელსაც მთავრობა არ ყავდეს, არავის უნახავს.

ან იქნება «საქართველოს გუმაგი» და «ახალი ივერიის» ახალგაზნობა ახალ თეორიას იზიარებენ საერთაშორისო წარმომადგენლობის შესახებ, რომლის თანახმად მთავრობა ნიშნავს მხოლოდ ელჩს, ოღონდ ელჩი პასუხისმგებელია არა მის დამნიშვნელ მთავრობის, არამედ უშუალოდ ერის წინაშე, რომელსაც წარმოადგენს.

რამდენადაც გვანახოვს, ცოტა განსხვავდება ამ თეორიისიგან ყოფილ პრეზიდენტის პუანკარეს აზრები ამ საგანზე. ბნა პუანკარემ გადმოხვეწილი ქართული მთავრობა იცნო და ნიშნად ამ ცნობისა განაცხადა: «...ამ მთავრობას (საქართველოს) ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტი, და ამ წარმომადგენელს უფლება აქვს საგარეო საქმეთა სამინისტროში წარდგომის»... (ყოფნა ოფისიელ 22 აპრილი 1922 წ.).

საქართველო და საერთაშორისო უფლება

IV.

განვიხილოთ ესლა საქართველოს იურიდიული მდგომარეობა, როგორც არის დღეს. ეს მდგომარეობა ცოტა უფრო რთულია საერთაშორისო საჯარო უფლებების თვალსაზრისით, ვიდრე იყო 1801 წ. ანექსიით შექმნილი.

სანამ გავარკვევდეთ ამ საერთაშორისო მდგომარეობას, უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტი ოკუპაციისა რუსეთის მიერ არასოდეს არ უცვნია კანონიერად ქართველ ხალხს. ამის დამამტკიცებელი მრავალი საბუთი შეიძლება დავასახელოთ: არაპირდაპირი — ის, რომ რუსეთი იძულებულია დიდი ჯარი იყლიოს საქართველოში^{*)}. რაც იმას ამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობას შეუძლია არსებობა მხოლოდ ძალის შემწეობით. შემდეგ როცა ეროვნული მთავრობა შეეცადა საკითხი არბიტრით ან პლემბისციტით გადაწყვეტილიყო. საქართველოს კომუნისტურმა მთავრობამ ამაზე უარი განაცხადა. ხოლო ყველაზე პირდაპირი საბუთია 1924 წ. ავგისტო-სექტემბრის აჯანყება, რომელიც მთელს საქართველოს მოედვა. ეს აჯანყება საბჭოთა მთავრობამ ველურად ჩააქრო; ხოლო ამის შემდეგ ხალხური აჯანყებანი რუსის ოკუპანტების წინააღმდეგ არასოდეს შეწყვეტილა. მოძრაობამ თითქმის საერთო ხასიათი მიიღო და გავრცელდა 1929 წ. შემდეგ, როცა კავკასიაში მიწების კოლექტივიზაციას შეუდგნენ. პარტიზანების ბრძოლას გაძლიერება დაეტყო 1932 წ. ეს აჯანყებანი, რომლებიც ხან აქ იფეთქებენ და ხან იქ, რასაკვირველია იწვევენ ახალ და ახალს რევრსიებს საბჭოთა მთავრობის მხრით.

განხილეთ ესლა საქართველოს დღევანდელი იურიდიული მდგომარეობა საერთაშორისო უფლებების თვალსაზრისით. ეს მდგომარეობა, როგორც ვსთქვით უკვე, 1801 წლისაზე უფრო რთულია. რუსების ანექსიის შემდეგ საქართველო აღარ იყო ნამდვილად საერთაშორისო პიროვნება. სრულებით ესევე არაა დღეს. მართალია საქართველო ძალით გაასაბჭოვდა რუსეთმა და იგი წევრ რესპუბლიკის სახელით შედის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში^{**)}. მაგრამ ეს იძულებითი გასაბჭოება არ უცვნი

უცხოელ სახელმწიფოების მეტ ნაწილს, და ზოგან ძველი სახელმწიფოს წარმომადგენლობა არსებობს ისევე; ასეა მაგალითად საფრანგეთში, სადაც იმყოფება საქართველოს ლეგაცია. ცხადია, საფრანგეთს არასოდეს უცვნია საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა ჯარების მიერ.

როცა დაისვა საკითხი ს. ს. რ. კავშირის ცნობისა ზოგიერთ უცხოელ სახელმწიფოების მიერ, რუსეთი შეეცადა, რომ ეცნო მისი სუვერენობა საქართველოზე. მაგრამ ეს მოთხოვნა არასოდეს ყოფილა მიღებული უცხოელ სახელმწიფოებისაგან. დიდმა ბრიტანეთმა რომ ს. ს. რ. კავშირი იცნო, თავის ნოტაში შემდეგი განსაზღვრა შეიტანა: «ბრიტანეთის მთავრობა ცნობილობს ს. ს. რ. კავშირს როგორც მთავრობას de jure ყოფილ რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებზე, რომელნიც სცნობენ მის ხელისუფლებას». ეს რეზერვი გარკვევით ჰგულისხმობდა საქართველოს^{*)}, სადაც საღმრთო არამც თუ არ მიიღო საბჭოთა მთავრობა, არამედ გამუდმებით უჯანყდება მას.

საფრანგეთის ნოტაში, რომლითაც მან იცნო ს. ს. რ. კავშირი, ნათქვამია, რომ სცნობს მას «როგორც ყოფილ რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიების მთავრობას, სადაც მისი ხელისუფლება მიღებულია მკვიდრთა მიერ». ამ ნოტაში გარდა ამგვარ საზოგადო რეზერვისა არის პირობა კიდევ უფრო გარკვეული საქართველოსა და ბესარაბიის შესახებ, რომლის თანახმად ეს ცნობა (ს. ს. რ. კავშირისა) «ვერ შეეხება ვერც ერთს უკვე ნაკისრ ვალდებულებას».


რომ აქ სწორედ საქართველოა ნაგულისხმევი,

უტოვებს წევრ-რესპუბლიკებს კავშირის დატოვების თავისუფლებას. 1924 წ. ქართველმა ერმა სწორედ გამოაცხადა თავისი სურვილი კავშირიდან გასვლისა. ეს სურვილი ჩაახჩვეს რუსის სამხედრო ძალებმა. მაშ რაღა იქნა მე 4 მუხლი? ეს აშკარად გვიჩვენებს იმას, რომ საბჭოთა კონსტიტუციის არც ერთი მუხლი მიტომ არ არსებობს, რომ გამოიყენონ.

*) იხ. მაკდონალდის და ჯილბერტ მურეის განცხადებანი 1924 წ. 25 სექტემ. ნაციონალური ლიგის მეხუთე ყრილობაზე. პირველი იყო ბრიტანეთის იმპერიის, ხოლო მეორე კანადის წარმომადგენელი. Journal offic. de la S. D. N., Actes de la cinquième Assem., გვ. 163-164.

*) რენოდელის სიტყვა, გვ. 25 და 26.

**) აქ უნდა მივუძღვიოთ ყურადღება ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციის მეოთხე მუხლს, რომელიც



ამას ამტკიცებს ჰერიოს გამოსვლა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში 1922 წ.: «საქართველოს სუვერენობა გადაჭრით იყო ცნობილი მოკავშირე სახელმწიფოების მიერ, იგი იცნო სრულიად გარკვეული ხელშეკრულებით რუსეთამაც. ვთხოვ მთავრობის თავმჯდომარეს კეთილ ინებოს და გამოაცხადოს, რომ მისი მთავრობა კვლავინდებურად მხარს უჭერს ამ დამოუკიდებლობას». პუანკარემ ამაზე მეტად ნათელი პასუხი გასცა: «პატივცემულმა ჰერიომ თვითონ გამოსთქვა მთავრობის აზრი, რომელიც არა ერთხელ გამოვითქვამს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. და უკანასკნელს ჰყავს თავისი წარმომადგენელი პარიზში და მისთვის ღიაა ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს კარები»^{*)}.

მართლაც 1921 წ. თებერვლის 25-დან, როცა საქართველოს რესპუბლიკის სრულყოფილებიანმა მინისტრმა თავის რწმუნებულობის ქაღალდები წარუდგინა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს ლეგაცია დაარსებულია პარიზში. რადგან ს. ს. რ. კავშირის ცნობა de jure საფრანგეთის მიერ «ვერ შეეხება ვერც ერთს უკვე ნაკისრ ვალდებულებას», ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ვერ შეცვლის საქართველოს ცნობას საფრანგეთის მიერ, რაიც მან ადრე მოხდა. ამ ცნობამ (საქართველოსამ), რომელსაც არავითარი პირობა არ ახლდა, დააკისრა საფრანგეთს, მიიღოს ამიერიდან ახალი სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო უფლების სუვერენული პიროვნება.

კიდევ მეტი, საქართველოს ცნობა დადასტურებული იყო ნათლად მრავალი საერთაშორისო აქტით შეთანხმებულ და შეკავშირებულ სახელმწიფოების მიერ. რუსეთის წარმომადგენელი ორჯელ შეეცადა, რომ დაშვებული ყოფილიყო საერთაშორისო კონფერენციებზე, ვითარცა საქართველოს დელეგატი, მაგრამ ორჯელვე უნაყოფოდ. პირველად ეს იყო გენუის კონფერენციაზე 1922 წ. საფრანგეთის მთავრობა თავის დელეგაციისათვის (რომლის თავმჯდომარე ლუი ბარტუ იყო) მიცემულ ინსტრუქციებში სპეციალურად აღნიშნავს, რომ რუსეთის დელეგატები არ უნდა ყოფილიყვნენ მიღებულნი საქართველოს წარმომადგენლებად^{**}). საფრანგეთის დელეგა-

^{*)} იხ. Journ. offic. 1922 წ. აპრილის 2. გვ. 1357, 1359-1360. აგრეთვე Noulens, La reconnaissance internationale, de nouveaux gouvernements, dans Séances et travaux de l'Académie Diplomatique internationale. 1930 წ. აპრილ-ივნისი. გვ. 120. იხ. აგრეთვე სოციალისტური ჯგუფის წერილი მთავრობის თავმჯდომარის ჰერიოს მიმართ 1924 წ. ივლისის 3: «სოციალისტური პარტია სურვილს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის მთავრობამ გამოაცხადოს: იგი სავსებით სცნობს de jure ს. ს. რ. კავშირს იმ საერთაშორისო აქტების გამოკლებით, რომელთა ძალით ცნობილი იყო de jure დამოუკიდებლობა ყოფილ რუსეთის იმპერიიდან გამოსულ სხვადასხვა სახელმწიფოთა, რომელთაც თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ საფრანგეთის მთავრობასთან».

^{**}) აი რა ეწერა ინსტრუქციაში, რომელიც მთავ-

ციის თვალსაზრისი გაიზიარეს ბრიტანეთის და სხვა დელეგაციებმა და რუსთა დელეგაციის ყოველმა ცდამ ამ შეხედულობის შესაცვლელად უნაყოფოდ ჩაიარა.

აგრეთვე ჩაიფუშა მეორე ასეთივე ცდა ლოზანის კონფერენციაზე 1922-23 წწ. რუსების დელეგაციის მოთხოვნით საქართველო და უკრაინა შეტანილ იქნენ კონფერენციის პროტოკოლებში. მაგრამ განმარტებულ იქნა კონფერენციის მთავარ მდივნის მასილის მიერ კონფერენციის თავმჯდომარეებთან შეთანხმებით, რომ ეს შეტანა ისე არ უნდა იქნეს განმარტებული, რომ უკრაინა და საქართველო წესიერად არიან წარმოდგენილი კონფერენციაზე^{*)}.

გარდა ამისა, ლონდონის, პარიზის და რომის მთავრობათა მოთხოვნით, სრუტეების შეთანხმებას საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა მხოლოდ რუსეთის სახელით. აღვნიშნავთ დაბოლოს, რომ სრუტეების შეთანხმებამ ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის დელეგაციების წინადადებით ერთი ადგილი საქართველოსთვის შეინახა საკონტროლო კომისიაში^{**}).

საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობებმა არა ერთხელ დაადასტურეს თავიანთი სურვილი, რომ საქართველო დამოუკიდებელი იყოს. ამით მათ უარყვეს, იცნონ ის ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც შეიქნა საქართველოში საბჭოთა შემოსევის გამო.

აგრეთვე ნაციათა ლიგა ბევრჯელ შეეხა საქართველოს საკითხს. სახელდობრ მესამე კრებამ ერთხმად მოიწონა ბელგიის წარმომადგენლის წინადადებით შემდეგი რეზოლუცია საქართველოს შესახებ:

«ნაციათა ლიგის კრება, განიხილა რა საქართველოს მდგომარეობა, მოუწოდებს საბჭოს დაბეჯითებით ადევნოს თვალყური ამბებს ამ მხარეში, რომ ისარგებლოს გარემოება, რომელიც დაეხმარება, მშვიდობიანი გზით და თანახმად საერთაშორისო უფლების წესებისა, ამ ქვეყანაში ნორმალური მდგომარეობის აღდგენას»^{***}).

ამის შემდეგ 1924 წ. სწორედ იმ დროს, როცა შემდგარი იყო ნაციათა ლიგის მეხუთე კრება, საქართველოში იფეთქა აჯანყებამ საბჭოთა წინამდევ-საფრანგეთის წარმომადგენლის პოლ-ბონკურის წი-

რობის თავმჯდომარემ დეპუტატთა პალატაში წაიკითხა: «საფრანგეთის მთავრობას, რომელმაც თავის მოკავშირეებთან ერთად იცნო დე-იურე საქართველოს წინანდელი მთავრობა, არ შეუძლია დღეს რაიმე მოლაპარაკება გამართოს საქართველოს საკითხის შესახებ ფაქტიურ ძალაუფლების წარმომადგენლებთან, რომელმაც საქართველოდან გამოაქევა მისი წესიერი მთავრობა». Journ. offic. 1922 წ. 2 ივნისი. გვ. 1643.

^{*)} მასილის წერილი რუსთა დელეგაციის მდივნის საბანიის მიმართ მოთავსებულია ლოზანის კონფერენციის პროტოკოლებში.

^{**} იხ. სრუტეების შეთანხმების მუხ. 12.

^{***}) 1929 წ. 22 სექტემ. რეზოლუცია. Jour. offic. de la S. D. N. Actes de la 3 Assemblée, გვ. 203.



ნადადებით საფრანგეთის, ბრიტანეთის და ბელგიის დელეგაციებმა რეზოლუცია შეიტანეს საქართველოს შესახებ. ამ რეზოლუციამ, რომელიც ერთხმად იყო მიღებული ლიგის კრების მიერ 1924 წ. 25 სექტემბერს, განაახლა 1922 წ. 22 სექტემბრის რეზოლუცია. ახალი რეზოლუცია თხოვდა ლიგის წევრ-სახელმწიფოების მთავრობებს მიიღონ მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში, მიაწოდონ ინფორმაცია და გარემოებისა და საშუალების მიხედვით დაეხმარონ თავის მშვიდობიანი გავლენით *).

ყველა ამ საერთაშორისო აქტს, რომელთა საშუალებით ზოგიერთმა სახელმწიფოებმა და თვით ნაციონალური ლიგამ უარი თქვეს, იცნონ საქართველოში შექმნილი ფაქტივური მდგომარეობა წინამდებელის სრულიად უდავო უფლებებისა, — დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ აქტების გახსენება შეიძლება, როცა დაისმება საკითხი რუსეთის მიღებისა ნაციონალური ლიგაში. მართალია, დღეს რუსეთი მტრულად უყურებს ენევის დაწესებულებას და ასე იქნება განწყობილი კიდევ დიდხანს. მაგრამ არაა შეუძლებელი მისი შეხედულების შეცვლა ახლო თუ შორეულ მომავალში. მაშინ ძნელი იქნება ნაციონალური ლიგის, საქართველოს სასარგებლო მიღებულ ამდენი რეზოლუციის შემდეგ, გვერდი აუქციოს მის დამოუკიდებლობას და არ წამოაყენოს ამის ცნობა რუსეთის მიერ, როგორც პირობა რუსეთის მიღებისა ლიგაში **).

დღეს ამ საკითხს პრაქტიკული ინტერესი აქვს საფრანგეთის და ს. ს. რ. კავშირის ურთიერთობისათვის. ყველამ უწყის, რომ ს. ს. რ. კავშირი რაღაც მოსახრებისა გამო, რომელსაც აქ არ შეევეხებით, ცთილობს თავდაუსხმელობის პატივები შეკრას ევროპის სახელმწიფოებთან. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობამ მოლაპარაკება გამართა ჯერ მოსახლურ სახელმწიფოებთან და მერე საფრანგეთთან. ამგვარი ხელშეკრულება წინასწარის სახით ამას წინად დასდევს საფრანგეთის საგარეო საქმეთა კანცელარიამ და ს. ს. რ. კავშირის ელჩმა პარიზში. იან ხელშეკრულების მეოთხე მუხლი ასეა შედგენილი:

«თითოეული მაღალი მხარე ხელშეკრულების ვალდებულია ყოველნაირად პატივი სცეს მეორე მხარის სუვერენობას მთელ მის ტერიტორიებზე იმ ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრული არიან ამა ხელშეკრულებაში, არ ჩაერიოს არავითარი საშუალებით მის შინაურ საქმეებში, სახელდობრ თავი შეიკავოს ყოველი მოქმედებისაგან, რომელიც აღძრავს ან ხელს შეუწყობს ყოველნაირ აგიტაციას, პრაპაგანდას თუ ინტერვენციის ცდას მეორე მხარის ტერიტორიალურ მთლიანობის წინამდებელ ან ძალით პოლიტიკური თუ სოციალური რეჟიმის შესაცვლელად მთელ მის ტერიტორიაზე ან ნაწილზე.

«ორივე მაღალი მხარე ხელშეკრულების ვალდებულია პრინციპულად განსაკუთრებით, არ შექმნან, არ გაუწიონ მფარველობა, არ დაეხმარონ მო-

წყობილობით, ფულით, არ მისცენ ყოფნის ნება თავიანთ ტერიტორიაზე სამხედრო ორგანიზაციებს, რომელთა მიზანია შეიარაღებული ბრძოლა მეორე მხარის წინამდებელ, და არც იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ითვისებენ მეორე მხარის მთელი ტერიტორიის თუ ნაწილის მთავრობის გინდ წარმომადგენლის სახელს».

საფრანგეთი ამ ხელშეკრულებას სდებს ს. ს. რ. კავშირთან. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ იგი სცნობს ფაქტივურ ხელისუფლებას საქართველოში, რადგან უკანასკნელი ძალით შეუერთეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს? ეს იქნებოდა აშკარა წინამდებელი იმ მრავალ საერთაშორისო აქტისა, რომლებიც ჩვენ დავასახელებთ და რომელთაგან ზოგი საფრანგეთისაგან მომდინარეობდა, და საფრანგეთი ხომ ყოველთვის პატივს სცემდა და ასრულებდა მიცემულს სიტყვას.

თუ განსაკუთრებით საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულების პროექტის მეოთხე მუხლის მეორე პარაგრაფი კვლავისმობს საქართველოს ლეგაციას, რომლის არსებობა არას დროს შეწყვეტილა, ეს იქნებოდა სრული გაწყვეტა, ფარული სახით და ნაკლებად შესაფერით დიდი ქვეყნისა, იმ მიმართულების, რომელსაც ყოველთვის მისდევდა იგი რუსეთის რევოლუციის შემდეგ. ამგვარი განმარტება იქნება წინამდებელი საფრანგეთის ყველა ტრადიციის, როგორც საერთაშორისო ვალდებულებათა პატივცემულობის ისე მოქმედების იმ ერების მიმართ. რომლებიც იბრძვიან თავიანთ თავისუფლებისათვის.

ცხადია, ყოველი სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუშალოს, რათა მისი ტერიტორია არ იქნეს გამოყენებული მოქმედებისათვის სხვა სახელმწიფოთა უშიშროებისა და შინაურ წესიერების წინამდებელ. მაგრამ საქართველოს შემთხვევაში საქმე ეხება არა კრიმინალურ აქტების მომზადებას, არამედ ჯეროვნად აღიარებულ სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენლობას, რადგან საქართველოს ლეგაცია დღემდე არის წესიერი დიპლომატიური წარმომადგენლობა ამ სახელმწიფოსი, რომლის ახალი ოკუპაცია საფრანგეთს არ უცნია.

მხოლოდ ასეთი განმარტება, რომელიც შეესაბამება საფრანგეთის ტრადიციებს, და მთელი წინანდელი მოქმედება უკანასკნელისა საქართველოს მიმართ დადასტურებულია თვით საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულების შესავალით. მართლაც იქ გარკვეულად არის გამოცხადებული, რომ ორივე მთავრობას «ნაკისრი აქვს საერთაშორისო ვალდებულებანი, რომელნიც წინად მიიღეს თავის თავზე», და მათ «ესმით, რომ, არც ერთი ამ ვალდებულებათაგანი არ დააბრკოლებს მათ ურთიერთის დამოკიდებულების მშვიდობიან განვითარებას და არ ეწინააღმდეგება ამა ხელშეკრულებას».

ასეთი განცხადება რუსეთთან დადებულ ხელშე-

* Journ. offic. de la S. D. N., Actes 1924 წ. გვ. 165.
 **) ნაციონალური ლიგის პატივის პირველი მუხლის მეორე პარაგრაფი.

*) იხ. სახელმწიფოების ვალდებულებათა დეკლარაცია, მოწონებული საერთაშორისო უფლების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ასოციაციების მიერ ჩემს Précis de droit international public, № 663, წერ. C.

კრულობაში უქველია არ ჰგულისხმობს საფრანგეთის მიერ წინად დადებულ ხელშეკრულებებს ბოლივიასთან თუ აბაშეთთან; ამას შეუძლია მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდეს— რომ განისხნოს ის რეზერვები, რომლებიც უკვე გააკეთა ბევრჯერ თავის ურთიერთობაში ს. ს. რ. კავშირთან. განსაკუთრებით გენუის და ლოხანის კონფერენციებზე. მეოთხე მუხლის მეორე პარაგრაფი რომ საქართველოს ჰგულისხმობდეს, მაშინ ჩვენს წინაშე იქნებოდა აშკარა წინამდებობა ერთი და იმავე ხელშეკრულობის ორ დებულებას შორის. მაგრამ განმარტების (ინტერპრეტაციის) ელემენტარული წესი მოითხოვს, რომ როცა ხელშეკრულებაში ორი მუხლი გარეგნულად თითქოს ეწინააღმდეგება ერთი მეორეს, ისეთი განმარტება უნდა მივიღოთ, რომ ეს ორი მუხლი შევათანხმოთ და არა დაეუპირდაპიროთ ერთი მეორეს.

აქვს თუ არა აქ ადგილი ასეთ განმარტებას, რომელიც თავიდან აგვაცდენს ნაჩვენებ წინამდებობას? აქვს და ეს განმარტება მეტად მარტივია და ცხადი და ორი, სრულად ნათელი, ტექსტისათვის არც შეიძლება მივმართოთ სხვა განმარტებას. ამ განმარტებით, როცა ორივე სახელმწიფო ამბობს, რომ «მათ ნაკისრი აქვთ საერთაშორისო ვალდებულობანი, რომელნიც წინად მიიღეს თავის თავზე», ეს ჰგულისხმობს საქმეთა აწინდელს უფლებრივ ვითარებას (და უქველია, არც შეიძლება სხვანაირად იყოს, რადგან ამის საწინამდებო არაფერია დადებითი ნაჩვენები); მეოთხე მუხლის მეორე პარაგრაფი კი ჰგულისხმობს მომავალს. საფრანგეთი მომავლისათვის ჰკისრულობს ვალდებულებას, არ მისცეს ყოფნის ნება თავის ტერიტორიაზე არავითარ ორგანიზაციას, რომელიც ითვისებს ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიების რომელიმე ნაწილის მთავრობის და წარმომადგენელის როლს და ცთილობს ამიერიდან განმარტებას. ხოლო ეს ვალდებულება ვერ შეეხება საფრანგეთის მიერ წინად ნაკისრ ვალდებულებათ, რომელთა შორის (იმათთან ერთად, რომლებიც ენებიან ამგვარადვე ყოფილ რუსეთისაგან გამოყოფილ სახელმწიფოებს) არის ცნობა საფრანგეთის მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი სახელმწიფოებრივი სუვერენობის.

საქართველოს წინანდელი და დღევანდელი მდგომარეობის ამ ობიექტიური განხილვის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ ეს ქვეყანა უფლებრივად მუდამ დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ეს დამოუკიდებლობა ორჯერ იყო ძალით დარღვეული წინამდებგარკვეულ ვალდებულებათა; მოხდა ძალობის ფაქტები, რომელთა წინამდებგ ყოველთვის ენერგიულ პროტესტს აცხადებდენ გადაყენებული მთავრობანი და თვით ხალხი გამუდმებული აჯანყებებით.

დღევანდელი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობა ცნობილი იყო ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ, მათში საფრანგეთიცაა; პირიქით მათ არასოდეს უცვნიათ რუსთა ბატონობა ამ სახელმწიფოში, ამაო იყო ს. ს. რ. კავშირის ყოველივე ცდა ამისთვის ევროპულ კონფერენციებზე.

რაც შეეხება საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმებას

— რომელიც ენება ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ამ ორ სახელმწიფოს და არა აქვს საზოგადო ხასიათი— ეს ჯერ მარტო პროექტია და მისი რატიფიკაცია არ მომხდარა; როგორც ამას მოითხოვს შეთანხმების მეექვსე მუხლი. რომ ჯერ მხოლოდ პროექტია უბრალო, ამით აიხსნება ის საიდუმლობა, რომლითაც მოცულია იგი დღემდის და რომელიც არაჩვეულებრივი იქნებოდა, როდესაც ნაციონალიზმის პაქტის მე-18 მუხლი მოითხოვს მის წევრების ყოველ ხელშეკრულობის რეგისტრაციას. და თუ მოხდა მისი რატიფიკაცია, სალი იურიდიული ინტერპრეტაცია მოითხოვს, რომ მას არ მიეცეს ისეთი აზრი, რომელიც წინააღმდეგებოდა თვით მასვე და საფრანგეთის მთელს წინანდელს მოქმედებას.

ყველა ამ მოსაზრებისა გამო უნდა გადაჭრით ითქვას, რომ დღევანდელი მდგომარეობა შემოსეულ სახელმწიფოსი საქართველოს მიმართ წარმოადგენს წმინდა ფაქტის მდგომარეობას, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ძალადობის ფაქტის მდგომარეობას, რომელიც დაგმობილია თანამედროვე საერთაშორისო უფლებით. საქართველოს დამოუკიდებლობა უფლებრივად განაგრძობს არსებობას; იგი მოწოდებულია, გაცოცხლდეს კვლავ, როგორც კი მოისპობა ის დაბრკოლება ფაქტიური, რომელიც წინ ედობება საქართველო მუდამ გაერთიანებული იყო როგორც ჩრდილოელ ისე სამხრეთელ თავდასხმელების წინამდებგ; თუ ის გააგრძელებს თავის ერთსულოვან წინამდებობას, როგორც სურვილს აცხადებს, მოქმედებით და არა მარტო სიტყვით, მისი ბედი იქნება, იმედი უნდა ვიქონიოთ, ისეთი, როგორიც იყო ყველა ერის, ერთსულოვანად რომ უნდოდან დამოუკიდებლობა; იშვიათად თუ მათ არ გაუმარჯვნიათ ადრე თუ გვიან. გასულ საუკუნეში ამის მშვენიერი მაგალითი მოგვცეს საბერძნეთმა, ბალკანეთის და დუნაის სახელმწიფოებმა; ჩვენს საუკუნეში, რომელიც მხოლოდ დაწყებულია, აი განთავისუფლდნენ პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ირლანდია, ეგვიპტე. უნდა ვისურვოთ, რომ ამ სიას, რომელიც გრძელია, ხოლო ჯერ კიდევ არაა სრული, მიემატოს არა დაგვიანებით ახალი სია ერთა, რომელნიც კვლავ აღადგენენ თავიანთ დამოუკიდებლობას უცხოელთა ხანგრძლივ თუ მოკლე ბატონობის შემდეგ.

LOUIS LE FUR

საერთაშორისო უკლები პრფესორი პარიზის უნივერსიტეტში.

ბ რ კ მ ლ ის მ მ თ ო ღ ე ბ ი

უადგილობისა გამო, სამწუხაროთ, მთლად ვერ ვებქდავთ ბ. ისრაფილ-ბეის საინტერესო წერილს. ავტორი იგონებს მარშალ პილსუდსკის შესანიშნავს სიტყვებს: «თავისთავად არაფერი ხდება. დამოუკიდებლობას ვერც ლოცვით გამოვიტხოვთ, ვერც ვისმე გამოვტყუებთ. მის მოსაპოებლად აუცილებელია სისხლი ნარჯის გაღება». შემდეგ მოკლედ გაცანობს პოლონეთის საზოგადოებრივი აზრის

მდგომარეობას გასული საუკუნის დამლევს—სულიერს დაცემას, უიმედობას, პასივობას, და იმ აღორძინებას და აქტიურ განმათავისუფლებელ მუშაობას, რომელიც დაიწყო ი. პილსუდსკიმ^{*)}. ბ. ისრაელი ბეი კვალ და კვალ მისდევს ამ მუშაობას, რომელმაც შექმნა მრავალი სამოქმედო ორგანიზაცია და დარაზმა მთელი პოლონეთი ბრძოლისათვის და მოუყიდებლობის აღსადგენათ. პოლონეთის და ი. პილსუდსკის მაგალითმა ბევრი რამ უნდა გვასწავლოს ჩვენ—კავკასიელებსა, ამბობს ავტორი.

«ჩვენ კავკასიელებს და ბლოშევიკების მიერ სხვა დაპყრობილთ გვაძევს ვალად ვიმუშავოთ ი. პილსუდსკის მეთოდებით ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელები ეწევიან უდიდეს პროპაგანდას უცხოეთში ჩვენი ქვეყნის ბედის გასაცნობათ, ამავე დროს სცდილობენ მჭიდრო კავშირი იქონიონ თავის ხალხთან და თავისი ქვეყნის მაჯის ცემას თვალყური ადევნონ. სამწუხაროდ იმ საშინელ დაბრკოლების გარდა, რომელსაც მათ ასეთს მუშაობას ბუნებრივად ბლოშევიკები უწევენ, ჩვენს ხელმძღვანელთ სწირად უძნელებენ საქმეს სხვადასხვა ემიგრანტულ ჯგუფებში და მიმდინარეობებში არსებული უთანხმოება-ინტრიგები და ეს ძლიერ აფერხებს საერთო ეროვნულს მუშაობას.

არ არის შეთხვევა, რომ რომელიმე პოლიტიკოსი თავის მიზნის მისაღწევათ მიდიოდეს მუდამ თავისუფლად და დაუბრკოლებლივ. ის იძულებულია სწირად გვერდი აუხვიოს მრავალ დაბრკოლებას და აირჩიოს გზა, რომლითაც შეიძლება შემოვლა სიძნელეთა და უფრო ხელსაყრელ პირობებში მიღწევა თავისი მიზნის.

ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელთა უნარი და ხელოვნება უნდა გამოჩნდეს იმაში, რომ მათ გარკვეული და ყველასათვის უდრად მისაღებად დასახონ თავისი უახლოესი მიზანი და გამანათავისუფლებელ ბრძოლის განმავლობაში საქირა ანგარიში გაუწიონ სამხედრო ხელოვნება-სტრატეგიის გაცნობასაც, რომელსაც ბრძოლის დროს აუცილებლად ექნება უდიდესი მნიშვნელობა თვის პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელებისათვისაც კი.

ცოდნა სამხედრო ხელოვნებისა საქირა არა მარტო გენერალური შტაბის ოფიცრისათვის და გენერლებისათვის, არამედ პოლიტიკოსებისათვისაც. რათა ამ უკანასკნელთ შეეძლოთ გაერკვენ სწორად თავის მხედრების მოქმედებაში, იცოდენ დაახლოებით, თუ ვის და რა მოეთხოვება სამხედრო მოქმედების დროს, როცა ამის საათი დაჰკრავს და საქირაობა იქნება.

ბუნებრივია, რომ სამხედრო პირებსაც ევალეობათ მეტი ცოდნა შეიძინონ თანამედროვე პოლიტიკა-ეკონომიკის სფეროში, რათა მათთვის ახლო და გასგები იყოს თავის პოლიტიკურ ხელმძღვანელ-

თა სახელმწიფოებრივი ინტერესებით გამოწვეული ნაბიჯები.

კავკასიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პროგრამა უნდა იყოს ნათელი და კონკრეტული ნაბიჯების და მუშაობის მაჩვენებელი. განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც არ აქვს გარკვეული ეტაპები, რომელიც არ არის ლოგიკურად და მიზანშეწონილად დაკავშირებული, დალაგებული, სადაც უახლოესი ნაბიჯები და მიზნები დასახული არ იქნება—ასეთი ბრძოლა ნიშნავს ერის გაყინულ წერტილზე შეჩერებას და უნიადგო ლაყობა-თორიებს, ხოლო პროგრამა კონკრეტული და საქმიანი, პოლიტიკურ-სტრატეგიულ საშუალება-გზების მაჩვენებელი წარმოადგენს ნაბიჯს წინ განთავისუფლების საქმეში.

ცალ-ცალკე გამოსვლები კავკასიის რესპუბლიკებში აყენებენ ზიანს და უჭირვებენ საქმეს ბლოშევიკებს, როგორც ეს გამოცდილებამ დაგვანახა, მაგრამ ასეთი განცალკევებული გამოსვლები ვერ აუდგამენ ფეხს ბლოშევიკებს. ვერ განათავისუფლებენ ჩვენს ქვეყანას. საქირა ამაზე უთავრესი ყურადღების მიქცევა და საერთო კავკასიის მაშტაბით ბრძოლის წარმოება. მისთვის მზადება.

ის პოლიტიკური მუშაობა, რომელიც ასეთს სასიცოცხლო მოვლენას ანგარიშს არ გაუწევს, რომელიც თავის მოქმედებას ამ მიზანს არ შეუფარდებს და მხოლოდ ზოგად შორეულ მიზანს—იდეალს ემსახურება, დაშორებული იქნება ისტორიული აუცილებლობით გამოწვეული კონკრეტული საკითხებს და თეორია სოციოლოგიაში გადავარდება.

დროა კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრების ხელმძღვანელებმა დაიწყონ და გააცხოველონ ის დროული და რეალური მუშაობა, რომლის მშვენიერი მაგალითი პილსუდსკიმ მოგვცა...»

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ისრაელი-ბეი.

„მღვდელი, რომლის მრევლია ეპროკსა...“

D. რევივლი ცენტრის (დარბაზება «I. K. C.»-ში^{*)})

მთელ სახლგარგარეთელ სტუმართა შორის, რომლებიც, ჩამოდიან რა კრაკოვიში, არასოდეს გვერდს არ უხვევენ «პრესის სასახლეს»^{**)},—დღეს მოგვეცა საშვალება გვესაუბრა მღვდელთან, რომლის მრევლია მთელი ევროპა—სახელდობრ დოქტორი მუდმივი სამყოფელი პარიზი და რომელიც არის ორტოქსალური უმაღლესი სულიერი მამა ევროპაში დაბინავებულ ყველა ქართველისა.

^{*)} წერილი კრაკოვის გაზეთის «Ilustrowany Kurier Codzienny», № 325, 23 ნოემბ. 1932 წ. ეს გაზეთი—დღევანდელ მთავრობას მხარს უჭერს—ყველანაე გავრცელებული გაზეთია პოლონეთში.

^{**)} აღნიშნულ გაზეთს აქვს საკუთარი დიდი შენობა, რომლის სახელწოდებაა «პრესის სასახლე».

^{*)} ამ საგანზე ჩვენი გაზეთის ახლობელ ნომერში დაიბეჭდება ვაცლავ ლიპინსკის წერილი «პოლონეთის განმათავისუფლებელ ბრძოლის ისტორიადამ». რედ.

ვარშავაში ჩამოვიდა მღვ. ფერაძე ქართველ მორწმუნე კოლონიის საეკლესიო საზღვარსა და საეკლესიო საკმაო რიცხვს წარმოადგენს ჩვენს სახელმწიფოს სატახტო ქალაქში. კრაკოვში კი დარჩება სამეცნიერო მიზნით რამდენიმე კვირა. — წარმოადგენს არ მქონდა—ლაპარაკობს გამოცოცხლებით თავისუფალ ფრანგულით—რომ კრაკოვში გექნებოდათ ხელოვნების ასეთი საუნჯენი! ვაკელი, სახალხო მუზეუმი, ჩარტორიუსკების, ჩაპსკების... საუცხოვო შექმნები! ჩამოვედი კრაკოვში 2-3 დღით, დაჯრები კი რამდენიმე კვირა, რადგან თქვენი ქალაქი პირდაპირ მომხიბლველია!

ამის შემდეგ გვიამბო იმ აღმოჩენაზე, რომელიც მოუხდენია ჩარტორიუსკების მუზეუმში.—აღმოჩენა ჩემთვისაა, ცხადია—აშბობს.—ვერ წარმომედგინა, რომ კრაკოვში მუზეუმში წავაწყდებოდი 11 ძვირფას ქართულ დოკუმენტს, რომელზედაც აქ მომიხდება მუშაობა და რომელიც ქართველთათვის, წარმოადგენს უდიდეს ღირებულებას. ჩვენს ისტორიაში გვაქვს დადი ცარიელი ადგილები.

—ოსმალოებმა და სპარსელებმა გავგიცამტვერეს მთელი არქივები, რის გამო ჩვენს ისტორიაში მთელი რიგი ეპოქებისა საკმაოთ გამორკვეული არაა. კრაკოვში ნახული აქტები საქართველოსათვის უდიდეს ღირებულებას წარმოადგენენ.

მღვდ. ფერაძე დიდ მადლობას უხდის მღვდ. (კათოლ.) დოქ. კრუშინსკის, იაველონის (კრაკოვის) უნივერსიტეტის პროფ. კავალსკის, დოქ. გელეცკის, ქნ ბონეცკისას და გენერალ დრ. კუკელს იმ უგულითადეს დანხარებისათვის, რიც მას გაუწიეს და ხელი შეუწყვეს კრაკოვში მის ძიებას.

—ვყოყმანობდი აქ ჩამოსვლაზე—კრაკოვი ყველაზე პატარა მრევლია ჩემი, რომელიც აქ მხოლოდ ორი პირისაგან შესდგება; ორთაგანი პოლონეთის ჯარის პორუჩიკებია—გიგა ტურაშვილი, დაჯილდოებული მთელ რიგ ორდენებით და შალვა ფურცელაძე. სამაგიეროთ ნასიამოვნები ვარ, რომ ჩამოვედი. ვნახე ეს ძვირფასი დოკუმენტები და მშვენიერი ქალაქი, მართლა მშვენიერი, მდიდარი ძველი ხელოვნებით და შესამჩნევი წარსულით. შემეყვარა კრაკოვი და არ დავივიწყებ მის სიკეკლუცეს. ის არის ერთი უმშვენიერესი და საყვარელი ქალაქთაგანი, რაც ევროპაში გამიცნია»...



ქართული ენის კათედრის

დაარსება ბრიუსელის უნივერსიტეტში

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ამ განაფხულზე ბელგიაში დაარსდა საგანგებო კომიტეტი ქართული ენის კათედრის მოსაწყობად აღმოსავლეთის ფილოლოგიის და ისტორიის ინსტიტუტთან ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტში. კომიტეტი თავიდანვე მხედ შეუდგა მუშაობას, საკმაო თანხაც შეაგროვა და შემოდგომამავე ქართული ენის კათედრისათვის მოიწვია ბ. მიხ. წერეთელი, რომელიც აგრეთვე ასირიულ ენასაც ასწავლის.

29 ნოემბერს მოხდა ამ დარგების ოფიციალუ-

რი გახსნა, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრა. ინსტიტუტის დირექტორმა, ცნობილმა ბინანტოლოგმა ბ. გრეგუარმა გააცნო დამსწრე საზოგადოებას ქართული და ასირიულის შესწავლის მნიშვნელობა და ამ საგნების პროფესორი. «ბ-მაწერეთელმა თავისი სამეცნიერო ფორმაცია მიიღო პარიზში, ლონდონში და ჰაიდელბერგში. დღეს ის ჩვენთან არის. ჩვენ გვინდა ის აქ დიდხანს დარჩეს, მაგრამ მაინც ვუსურვებთ რაც შეიძლება ჩქარა განთავისუფლებულ საქართველოს უნივერსიტეტს დაბრუნებულს».

ამის შემდეგ ბ-მა წერეთელმა წარმოასტკვა სიტყვა შემდეგ თემაზე: ასირიოლოგია და მისი დამოკიდებულება ქართულ ფილოლოგიასთან, რომლის მოკლე შინაარსი შემდეგია: შეიძლება ბევრს ეგონოს, რომ ქართულ ენათმეცნიერებასა და ასირიოლოგიას შორის არავითარი კავშირი არ არსებობს, რადგანაც ქართული ენა მრავალი მეცნიერებისაგან ითვლებოდა განცალკევებულ და შენათესავო ენად, მაშინ როდესაც ასირიოლოგია უწინარეს ყოვლისა არის მეცნიერება სემიურ-ასსირიო-ბაბილონურ ენისა და მწერლობისა. მაგრამ ისტორია ასირიოლოგიის და ქართული ენათმეცნიერებისა გვაჩვენებს, რომ, პირიქით, ამ ორს დისციპლინას შორის დიდი კავშირია. ლურსმული წერილით სწერდა მრავალი ხალხი წინა-აწინაში არა სემიური შთამომავლობისა. თვით ლურსმული წერილი—არა სემიური მოდემის ხალხის—სუმერელების მიერ იყო შექმნილი. ელამელები, ურარტელები (მცხოვრებნი სომხეთისა სომეხთა უწინარეს), სეთელები და სხვა... ამაღურსმულით სწერდენ და როდესაც წაიკითხეს ლურსმული ნიშნებით დაწერილი დოკუმენტები ამ ხალხთა, გარდა სემიელთა და ინდო-გერმანელთა სხვა ენებიც აღმოჩნდნენ, არა ინდო-გერმანული და არა სემიური მოდემისა. ამ ენებს ჯერ თურანულ ენათა ჯგუფს უახლოვებდნენ, მაგრამ ამ შედარებამ ნაყოფი არ გამოიღო. ხოლო მათი ქართულთან შედარება თანთან არწმუნებს მეცნიერებას, რომ არსებულან უძველესი რასა და უძველესი ჯგუფი ენათა, რომელნიც არც ინდო-გერმანული, არც სემიური და არც თურანული არ იყვნენ, არამედ ქართული რასისა და ქართულ ენათა ჯგუფის მონათესავენი. ამ უძველეს ლურსმულ წარწერათა ენათაგან ზოგი უფრო ახლოა ქართულთან, ზოგი უფრო დაშორებული მისიგან, მაგრამ ნათესაობა მათ შორის მაინც არსებობს ან შესაძლებელია დამტკიცდეს, როდესაც ეს უცნობი ენები უკეთ იქნება შესწავლილი.

ქართულ ენათმეცნიერების უდიდესი პრობლემა, რომ ქართულ ენათა ჯგუფის ნათესაობა ყოფილიყო გამორკვეული, ისევე უნდა გადაწყდეს, როგორც ზემოხსენებული პრობლემები ასირიოლოგიისა: ქართულის ნათესაობა მხოლოდ ნახსენებ წარწერათა უძველეს ენათა შორის უნდა ვეძიოთ და არა სემიურ და ინდო-გერმანულ ან თურანულ ენათა შორის, და ამ ძებნას უკვე მოყვა სასურველი შედეგი.

ამგვარად ჩნდება მკიდრო ვაგშირი ასსირიოლოგიასა და ქართულ ენათმეცნიერებას შორის. იგინი ურთი-ერთს ხვდებიან და შევსებენ.

სასურველია რომ ყველგან, დად უნივერსიტეტში, სადაც ასიროლოგიას საპატიო ადგილი უჭირავს, ქართული ენისა, მწელოებისა და ისტორიის სწავლებაც იყოს მოწყობილი, მით უმეტეს რომ თვით ქართულ ეროვნულ კულტურას აქვს დიდი ღირებულება და საქართველოსაც დიდი როლი აღუსრულებია ახლო აღმოსავლეთში, როგორც ძლიერ პოლიტიკურ ფაქტორს, პირველი საუკუნიდან დაწყებული ჩვენ დრომდე.

ქართელები საზრანგეთში

ნოემბრის 27-ს, საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის გამგეობამ მოაწყო ილია ჭავჭავაძის დღე ილიას გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო. ბ-ნმა დავით ხარისჭირაშვილმა წაიკითხა მოხსენება ილიას ცხოვრების შესახებ და ბ. შალვა ამირეჯიბმა წარმოსთქვა სიტყვა ილიას მოღვაწეობის შესახებ. საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩა პატარა ვაჟთა და ასულთა მიერ ილიას ლექსების დეკლამაციით. ბ-ნმა ისიდორე მანჭავამ წაიკითხა მოხსენება «ილია და ეროვნული სინამდვილე», — რომლითაც მან დაახასიათა ილიას მოღვაწეობის დასაწყისში მდგომარეობა საქართველოში და ილიას ბრძოლა ეროვნულ ასპარეზზე. ბ-ნმა ვიკტორ ნოზაძემ წაიკითხა მოხსენება: «ილია და დამოუკიდებლობის საკითხი», და ბოლოს ბ-ნმა ურუღმა მოუთხრო საზოგადოებას თავისი მოგონებანი ილიას ცხოვრებიდან. საზოგადოება მრავალი დაესწრა და მეტათ ნასიამოვნები დაიშალა ასეთი დღის მოწყობის გამო.

საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის გამგეობამ, 18 დეკემბერს, გამართა მოხსენება ფრანგულ ენაზე. ქალბატონმა სიუზან ბერტიონმა, რომელმაც დიდი ხანი არაა, რაც მოიარა რუსეთი და კავკასია-საქართველო, გადმოგვცა თავისი შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი ს.ს.რ. კავშირის მდგომარეობის შესახებ. სიდატაკე აუწერელი, შიმშილი და საშინელი ექსპლოატაცია მთელი ხალხისა, — ასეთი არის ჯამი ბოლშევიკური მოღვაწეობისა. მეტად საინტერესო ეპიზოდები და პატარა ავანტიურები მოუთხრო მსმენელთ და მათ შორის ერთ ქართველთან შეხვედრა, რომელსაც მისთვის უთხოვია: «გადაეცი თქვენს ხალხს, რომ ჩვენ ნაციონალისტები კი არა ვართ, ჩვენ ვართ ეხლა შოვინისტები» — და მეც ვასრულებ ამ დავალებას. გასაგებია ეს ნათქვამი, საიდანაც სჩანს, თუ რამდენად არის ვალდებულნი მტრობა რუსეთის წინააღმდეგ. მომხსენებელი შეეხო შემდეგ რუსეთ-საფრანგეთის პაქტს, რომელიც მან სასიოცხვო აქტად ჩასთვალა და უსურვა საქართველოს ხალხს მალე განთავისუფლება, — «ვისურვებთ თქვენც გყოლოდეთ ვაიგანი» — მომხსენებელს სწორად აწყვეტიებდნენ მსმენელნი ტაშისცემით და ბოლოს ბევრმა პირადათ გამოუცხადა მადლობა მას ასეთი შეგნიერი მოხსენებისათვის. N.

6. რამიშვილის პანაშვილი

ამ თვის 11 ნ. რამიშვილის ტრადიკულ გარდაცვალებიდან ორი წლისშესრულების გამო დიდძალმა ქართველობამ მოიყარა თავი მის საფლავზე. მუდამ მგლოვიარე ოჯახის — განსვენებულის მეუღლის და შვილების გვერდით იდგნენ საერთო მგლოვიარე ფიქრებით გამსჭვალულნი მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები, ელჩი, პარტიათა წარმომადგენლები, მიცვალებულის პატივისმცემლები სხვადასხვა წრიდან. უდროვით დაკარგულ დიდი მოღვაწის საფლავი ცოცხალ ყვავილებით უხვად იყო მოთულისი. სიტყვა წარმოსთქვა ბ. ქავთარაძემ, რომელმაც დაახასიათა ნ. რამიშვილი, როგორც თავის ქვეყნის ერთგული შვილი და უდრეკი მებრძოლი.

ელშარლ ბერზინი

ბერლინში გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული გამოჩენილი გერმანელი სოციალისტი და პოლიტიკური მოღვაწე ედ. ბერშტეინი. განსვენებული დიდი დამცველი იყო ქართველი ერის და მუდამ ესარჩლებოდა მის დამოუკიდებლობას. სხვათა შორის ჩვენი გაზეთის მეხუთე №-ში დაბეჭდილი იყო ედ. ბერშტეინის წერილი, სადაც იგი მსურვალედ იცავს საქართველოს და საერთოდ პატარა ერების სრული დამოუკიდებლობის უფლებას.

კავკასია-უკრაინის ღღე

5 დეკემბერს «France-Orient»-ის კომიტეტმა მოაწყო იენის მშვენიერ დარბაზში კავკასია-უკრაინის დღე, რომელიც ჩინებულათ ჩატარდა. დღე დაიწყო კომიტეტის სახეიმო სხდომით, რომელსაც დაესწრნენ, გარდა ფრანგებისა, საქართველოს, აზერბეიჯანის, შთის და უკრაინის წარმომადგენელნი. დაესწრა აგრეთვე ერთი თურქესტანელი. შემდეგ გაიმართა ბანკეტი — საუზმე, სადაც სიტყვები წარმოითქვა. ბანკეტს მოჰყვა მოხსენება საბუთო კავშირის ჩაგრულ ერებზე, წაიკითხული უკრაინის ყოფილ საგარეო მინისტრის ბ. ალ. შულგინის მიერ, რომელიც დიდის ყურადღებით მოისმინეს დამსწრე ფრანგებმა, და მათი რიცხვი თვალსაჩინო იყო. შემდეგ ოთხივე ერის ქალ-ვაჟმა, ეროვნულ სამოსელში, აჩვენეს დამსწრეთ ეროვნული ცეკვა-სიმღერა. დასასრულ ყველანი მიწვეულ იქნენ მეორე დარბაზში, სადაც გამართული იყო ოთხივე ერის პატარა გამოფენა ცალ ცალკე: სამხატვრო და სამწერლო ნიმუშები და სხ. ვსარგებლობთ შემთხვევას, დიდი მადლობა მიუძღვნათ «France-Orient»-ს ამ მშვენიერ დღის გამართვისთვის.

ჩრდილო კავკასიის მთიელთა შორის

მთიელთა ჟურნალი «გორცი კავკაზა» (№ 33) კვლავ უბრუნდება კავკასიის და თურქეთის ურთიერთობის საკითხს. აღნიშნავს, რომ კავკასიის განთავისუფლებულმა ერებმა ჯეროვანი ანგარიში არ გაუწიეს წარსულის გაკვეთილს და თავისი გაერთიანებული ნებისყოფა არ დაუპირდაპირეს რუსეთის საფრთხეს, და დასძენს, რომ თურქეთმაც დიდი შეცდომა ჩაიდინა. «მის მაგიერ, რომ ხელი შეეწყო კავკასიელ ერთა გამაერთებელ ტენდენციებისთვის, სწერს ჟურნალი: თურქეთმა ყოველი ზომა იხმარა, რომ ეს გაერთიანება არ მომხდარიყო. გარდა ამისა, როგორც ჩვენმა ქართველმა მომხმე შენიშნა, «წყობილება მიდის, ქვეყანა კი რჩება», და მეტად საეჭვო და უფრო გარეგნული ეფექტის მომხდენი დახმარების მისაღებად მოსკოვისაგან, თურქეთი ყოველგვარად შეეცადა, რომ ისევ მოიახლოვოს რუსეთი... კავკასიის ერების მხოლოდ გაერთიანებულს და მომქმედ ნებისყოფას შეეძლო ხელი შეეშალა რუსეთის მეორე შემოსვლისათვის კავკასიაში და გაეფრთხილებია თურქეთი, რომ თავი შეეკავებია ისეთ სიმპატიებისაგან, რომლებიც არაბუნებრივი არიან და ეწინააღმდეგებიან კავკასიის ინტერესებსაც. დღეს კავკასიის ერთობა ყოველ წელს უფრო და უფრო რეალურ ფორმებს ღებულობს: მტკიცე საფუძველი ეყრება მშობილ დამოუკიდებელ კავკასიას—იქედება კავკასიის კონფედერაციის იდეოლოგია. და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სწორედ ესეთი მუშაობა მიიყვანს განახლებულს თურქეთს იმის შეგნებამდე, თუ რამდენად პარადოქსალურია მისი აწინდელი რუსოფილური მიდრეკილება, თუნდაც გარეგნული, და მაშინ კონფედერატიული დაძლევი დებელი კავკასია და მისდამი მებრძულად განწყობილი თურქეთი—აი რა დაედება საფუძვლად კავკასიის და თურქეთის ურთიერთობას».

ჟურნალი «გ. კ.» მოიგონებს ამ ათი წლის წინად გარდაცვლილს იუსუფ-ინეტი-ფაშას (მეტ-ჩინუბათუკოს) რომელიც 1918 წ. კავკასიაში შემოსულ თურქთა საექსპედიციო ჯარების უფროსი იყო. იგი ჩამომავლობით ჩერქეზი იყო და დიდს ხანს მუშაობდა კავკასიის უძველეს ისტორიის გამორკვევისათვის. თურქულ ენაზე დაბეჭდილია მისი ვრცელი თხზულება «კავკასიის ისტორია» (წ. 1 ხიტიტები. წ. 2 ჩერქეზები. წ. 3 წარმოშობა ძველი ფრაკიისა და წ. 4 ძველი კავკასია). განსვენებულმა სხვათა შორის გაარჩია ჰომიროსის ნაწერები და თალმუდი და იქ აღნიშნა ჩერქეზული ელემენტები.

მოსკოვის პროვოკაცია შენევაში

გასულ ნომბრის 9 ქენევაში მეტად სამწუხარო ამბები მოხდა. ამ ამბების გასაგებათ საჭიროა განსენება იმის, თუ რა ატმოსფერა შექმნეს მოსკოვის დამქაშებმა ქენევაში წლების განმავლობაში, სიძულვილის, ცილისწამების გავრცელებით და სამო-

ქალაქო ომის ქადაგებით. ამან გამოიწვია ხალხში საშინელი სიძულვილი ორ უმთავრეს მათგანის დიკერის და ნიკოლის წინააღმდეგ.

5 ნომბერს, რამდენიმე კვირის წინ შექმნილმა «ეროვნულ ერთობის» პარტიამ მყვირალა აფიშა გააკრა ქუჩებში, სადაც ეწერა: «დიკერის და ნიკოლის სახალხლოთ გასამართლება», და იწვევდენ კრებას 9 ნომბრისათვის. 6 ნომბერს, კვირას, ნიკოლი და დიკერი კრებენ ცეკას «ქენევის სოც. პარტიისა», სწერენ მთავრობას წერილს, სადაც მოითხოვენ კრების აკრძალვას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თვის გავრეკავთო. მთავრობამ უპასუხა: ჩემი მოვალეობაა კრების და სიტყვის თავისუფლება დავიცვაო. მარა სანამ ასეთ პასუხს მიიღებდა, სოც. პარტიას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ქუჩაში გამოსვლა, კომუნისტებთან და ანარხისტებთან შეთანხმებით თავს დასხმოდა კრებას. მართლაც 8 ნომბერს მობილიზაცია უყვეს ყველა «წითელ რაზმებს»: სოციალისტურს, კომუნისტურს და ანარქისტურს სპეციალური მთარაზებით და ჯიბეებში გორგალათი (თვალეში შესაყრელათ) ერთი სიტყვით კომინტერნის ბრძოლის პლანზე მომზადებულნი მოვიდნენ დანიშნულ ადგილას ცხრის ნახევარ საათზე, გაარღვიეს ქანდარმთა რგოლი ქუჩებში, რადგან მათი რიცხვი მცირეა ქენევაში. იძულებული შეიქნა მთავრობა სამხედრო ძალისათვის გადაეცა უფლება წესრიგის დაცვის. ოფიცერის განკარგულებაში კი გაწრთვნილი ჯარიც არ იყო, არამედ ახალგაზდები, რომლებიც მილიციის სკოლას მხოლოდ წყებულობდენ. გაგზავნეს ქანდარმთა დასახმარებლათ ასეული ასეთი ახალგაზდა ცარიელი თოფებით. წითელ რაზმელები გზაზე გადაუდგენ, წაართვეს თოფები, კასკები, წააქციეს და საშინლათ სცემეს, ბევრი მათგანი კიდევ დაასახიჩრეს. ამით გატაცებულნი ძალაუფლების ხელში ჩამოგდებანე ლაპარაკობენ მანიფესტანტები, მთავრობის დაქერასა და ბანკებზე დაცემაზე... წესრიგის აღდგენისთვის ზრუნვა მხოლოდ სამხედრო უწყებას შეეძლო ასეთ პირებში. ჯარის უფროსმა მხედრობა შეურაცყოფილათ იგრძნო და წითელი რაზმისაგან სალდათების განთავისუფლება გადასწყვიტა პირველყოვლისა: ჯარს შემოეხვია კომუნისტებისა და სოციალისტებისაგან შემდგარი წითელი რაზმი. ჯარის უფროსმა უბრძანა გასროლა, ამის სულ რამდენიმე წამი გავრძელდა, რის შემდეგ ხალხი დაიფანტა. ასე რომ 10 საათზე წესრიგი აღდგენილი იყო.



გ ა ს ე თ ი ს ო ა ს ი :

ერთი წლით 20 ფრანკი.
 ნახევარი წლით 10 ფრანკი.
 ერთი ნომერი 2 ფრანკი.



«დაძ. საქ.» ვანტორა
 სთხოვს ხელის მომწერლებს გამოგზავნონ მათზე დარჩენილი სვედრი ფული.



წერილი კალაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო,

გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ყველა იმათ, ვინც როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში გაიზიარა ჩემი ოჯახის მწუხარება, გამოწვეული ჩემი ძვირფასი ძმის ლევან ხუნდაძის უღროთ გარდაცვალებით.

გულწრფელი პატივისცემით
მიმიკო ხუნდაძე.

წლიური ანგარიში

ტუბერკ. ავადმყოფ ქართ. დამსმარე კომიტეტისა.

კომიტეტის ბიუროს მოღვაწეობა საანგარიშო 1931 წლის განმავლობაში განისაზღვრება შემდეგი ციფრებით:

1. საღამოები	ფრ. 21.153—30	
2. მთავრობის დახმარება	2.000	
3. კერძო პირთაგან	3.037—10	
4. ვარშავიდან ბ-ნ იმნაძის საშუალებით	560	
5. პრადიდან ბ. ლომთათიძის საშუალებით	463—95	
6. თავრიზიდან ექ. ჯღარკავას საშუალებით	508—60	
7. წიგნაკებით შეგროვილი	1.447	
8. ნაშთი 1930 წ.	511—20	
9. სესხის სახით	1.400	31.081—15
გასავალი იყო		28.179—25
ნაშთი I იავრ. 1932 წ.		2.901—90

კომიტეტმა დამარება აღმოუჩინა 41 პირს, რომელთა შორის 11 ტუბერკულოზით ავადმყოფი იყო და 5 სუსტ ფილტვებიანი. დანარჩენთა რიცხვში შედიან სხვა გვარი ავადმყოფნი, უკიდურესად გაჭირვებულნი და ზოგიერთი მოსწავლე (კვების გასაძლიერებლად).

წლიური ანგარიში განხილულია და დადასტურებული სარევიზიო კომისიის მიერ.

კომიტეტის თავმჯდომარე ელ. აფხაზისა.

თავმ. ამხ—ები: თ. ერისთავისა, ი. ყაღრდანიასი.

მდივანი ბ. ერისთავი.

მოლარე: ექ. ელ. დეკანოზისა.

თანხმად ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე საზოგადოების კომიტეტის მომართვისა ჩვენ განვიხილეთ საზოგადოების შემოსავლის და გასავლის ანგარიში I იანვრიდან 1931 წ. I იანვრამდის 1932 წლისა.

როგორც საანგარიშო დავთრიდან სჩანს, საზოგადოების კასაში აღნიშნულ ვადის განმავლობაში

სულ შემოსულა ფრ. 30.569—95, ხოლო ნაშთით I იანვრისთვის 1931 წ. (ფრ. 511—20), მთელი შემოსავალი უღრის ფრ. 31.081—15; გასავალი ყოფილა ამავე ხნის განმავლობაში ფრ. 28.179—25 და დარჩენილა კასაში I იანვრისთვის 1932 წ. ფრ. 2.901—90.

როგორც გასული წლების განმავლობაში, ახლაც შემოსავლის წყაროს შეადგენს: ა) ერთდროული შემოწირულებანი და პერიოდულად წიგნაკებით შეგროვილი თანხები და ბ) კომიტეტის მიერ პარიზში გამართული საღამოები.

ყოველგვარი შემოსავალი და გასავალი შეტანილია დავთარში შესაფერ თარიღით და ყოველთვიურათ არის გამოყვანილი მათი ჯამი, რაიცა ჩვენ მიერ შემოწმებულ იქმნა; კერძოთ შემოწმებული იქმნა დავთარში ნაჩვენები წმინდა შემოსავალი საღამოებიდან ამ საღამოების შემოსავლისა და გაწეულ ხარჯებისთვის წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით.

გასავალში ნაჩვენებ ყველა ხარჯებისთვის არსებობს გასამართლებელი საბუთები.

როგორც ჯამი შემოსავლისა (ფრ. 31.081—15), ისე ჯამი გასავლის (ფრ. 28.179—25) და ნაშთი (ფრ. 2.901—90) დავთარში სწორათ არის გამოყვანილი.

ამნაირათ, საზოგადოების შემოსავლის და გასავლის ანგარიში I იანვრიდან 1931 წ. I იანვრამდის 1932 წ. სისწორით არის წარმოდგენილი და იგი უნდა იქმნას დამტკიცებული.

ხელს აწერენ: კ. კანდელაკი, ილ. დადემკელიანი.
20 მაისი, 1932 წ., ქ. პარიზი.

4 ნოემბრის 1932 წ. საღამო ანგარიში.

შემოსავალი:

ბილეთებისა	3.564—85	
ლოტარეია	1.045	
ბუფეტის	4.621—60	
ქ-ნ პაპავასაგან	100	
ბ-ნ-ა. მდივანისაგან	1.000	10.331—45

გასავალი:

დარბაზი	1.200	
ორკესტრი	750	
თარი	150	
ბილეთების დაბეჭდვა	82	
ღვინო	1.455	
ქირა (მაგიდები და სხ.)	336—45	
ასისიტანს პიუბლიკ	407—50	
ლოტარეის ნივთები	295	
ბუფეტის მოწყობა	1.008	
ფოსტა, ავეჯის გადატ. და სხ.	56—50	5.740—45

წმინდა შემოსავალი 4.591

კომიტეტი უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ ვინც დაესწრო საღამოს ან დახმარება აღმოუჩინა მას ფულით, ნივთების შემოწირვით ან პირადი შრომით.

„დამოუკიდებელი საქართველოს“ საჩივრი 1932 წლისთვის

I. მეთაურები:

1931 წელი ჩვენში 73. კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტი 74. არისტიდ ბრიანი 75. ვაზაფხულის ხმები 76. გაისათ ჩვენში 77. ჯანყის უფლება 78. ახალი სიო 79. აჯანყების წლის თავი 80. მეორე დღეს 81. ერთალიგისკრიზისი 82. ოქტომბრის 15 წლისთავი 83. წლის ბოლო 84.

II. წერილები:

- ანჟანი: შავი დღე 74. კავკასიის კონფედერაციის პაქტის შესახებ 75.
- გმგმჭკვლი იკ.: თავდაუსხმელობის პაქტი საფრანგეთს, რაპალოს ხელშეკრულება გერმანიას 84.
- გელაზანია გ.: პოლიტიკური და კულტურული 83.
- ემუხვარი ვლ.: კავკასიის კონფედ. პაქტისათვის 76.
- გვანავა გ.: ყენევაში 77.
- ზ—ი ი.: ეროვნული მოძრაობა მაკმადიანთა შორის 74—83.
- ინგილა რ.: ქართველთა დღე 74. სმენისა და გაგონებისათვის 81.
- ისტადილ-ბეი: ბრძოლის მეთოდები 84.
- კაქი: რუსეთის რევოლუცია 75, 78, 79 და 81.
- Le Fur: საქართველო და საერთაშორისო უფლება 81—84.
- მ.—ანი: გოეთეს წელიწადი 74. გერმანელი საქართველოზე 1862 წ.—82.
- მ. მ.: რამდენიმე შენიშვნა კავკასიის კონფედერაციის პაქტის შესახებ 75.
- მუსხელიშვილი მ.: კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა სუვერენობა 76. ფედერალურ ხელისუფლების იურიდიული სტრუქტურა 77. სახელოთა განაწილება 79-80. ფედერალური ფინანსები და ჯარი 82. უფლება გამოყოფის და უარყოფის 83.
- ნაკაშიძე გ.: ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა 79.
- ყვარდანიანი ნ.: 26 მაისი 77.
- უჩინაძე: ბოლშევიკური სკოლა და კულტურული საქმიანობა 76-78.
- მ—ლი ზ.: განიარაღების კონფერენცია 76.
- მ. დ.: სასოფლო მეურნეობის დაქცევა 73.
- ძე: ორი მოხსენება 80.
- ფინცხვალავა ხ.: ერთი საშუალებათაგანი 73. სირცხვილია 74. ისტორიული ამბები 74-80. ბრძოლის კავშირი 76. ი. ჭავჭავაძე 81.
- Forest: მზე ქალა 79.
- ქ—ძე ვ.: პიტლერი და რასისტ. მოძრაობა 75.
- N^o №: საქართველო ისტორიის მიმოხილვა 73. ერთგვარი ლიტერატურის გამო 84.

III. საქართველოს საკითხის გარშემო.

Mayeras საქართველო და საფრანგეთი 73. კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტი 74. დეფერემერი: საქართველო მსოფლიოს წინაშე 75. საქართველოს ხმა ევროპაში 76. ყენევაში 76. მემორანდუმში განიარაღების კონფერენციის თავმჯდომარეს 77. საქართველო განიარაღების კონფერენციაზე 77. ი. კრაქჩინსკა: კავკასიის გმირი ხალხის ტრაგედია 78. ყენევა დღესასწაულობს 26 მაისს 78. სოუკუპის სიტყვა ჩეხის პარლამენტში 79. საქართველოს საკითხი ერთა ლიგის დამხმარე კავშირში 79. პოლენელ სტუდენტების ხმა 80. კავკასიის საკითხი ამსტერდამის კონგრესზე 81.

IV. კორესპოდენციები.

წერილი საქართველოდან 73. წერილი ვარშავიდან 73. 10 აპრილი (წერ. გერმან.) 76. არჩევნები პრუსიაში 77. წერილი სპარსეთიდან 78. წერილი ხარბინიდან 79. ბოლშევიკების აგენტების დამარცხება ყენევაში 80. ხმა სოლოვიდან 80. 31 ივლისი (წერ. გერმ.) 80. 6 ნოემბერი (წერ. გერმ.) 83. მოსკოვის პროვოკაცია ყენევაში 84.

V. ქართველები უცხოეთში.

დიდი დემონსტრაცია (წერ. ვარშავ.) 73. ქართველები გერმანიაში 73, 75, 78, 79. ქართული წარმოდგენა პარიზში 74. ქართველები პარიზში 77, 78, 79, 81, 82, 83, 84. ქართველები ხარბინში 78. ვარშავაში 80.

VI. საქართველოს ამბები: 73, 76, 79-83.

VII. უცხოეთის მიმოხილვა 73, 74, 80.

VIII. ნეკროლოგები.

გიგო შარაშიძე 74. ლ. ვასილევსკი 74. ისევ მსხვერპლი 75. აღმამფოთებელი მკვლელობა (საფრანგ. რესპ. პრეს.) 77. ალბერ ტომა 77.

IX. სხვა და სხვა.

წერილები რედაქციის მიმართ 73, 74, 79, 83, 84. ადერბეიჯანელთა შორის 74, 83. უკრაინელთა შორის 74, 75, 81, 83. თურქესტანში 74, 75. კავკასიაში 81, 82. აზერბეიჯანის ეროვნული მოძრაობა 82. პრესა 79, 82, 83. ბიბლიოგრაფია 79, 80, 83. ქართული ენის კათედრა ბელგიაში 78 და 84. მიურატის მოხსენება 78. რა ვუწოდოთ (Croiazade) 76. უმუშევართა დამხმარე კომიტეტის ანგარიში 79. ტუბერკულოზის კომიტეტის წლიური ანგარიში 84. მღვდელი რომლის მრევლია ევროპა (კრაკოვის გაზ. წერ.) 84.

დასაბეჭდი წიგნები, ფული და სხვა უნდა გამდიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r O U R A T A D Z E

10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)

France